საერთო გაზეთი

№3 (595) • 3 თებერვალი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

განაჩენი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის მოძულეებს მომავალი გამოუტანს

დიახ, ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია და ის ამ სახელით შევა საქართველოს ისტორიაში

როგორ მოვგუდოთ საქართველო?

„ნაცმოძრაობა“ და სხვა პარტიები, რამდენიმე სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ ბინძურ თამაშში არიან ჩართულები, ხოლო სააკაშვილი ამ თამაშიდან მილიონებს ქაფავს

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ეროვნული უსაფრთხოების ჩიხში

2016 წელს რუსეთის ხელმძღვანელობამ და თურქეთმა გაიფორმეს თავიანთი სტრატეგიული ინტერესები აღმოსავლეთში, ახლა იფორმებენ კავკასიაში

ირინე ქეცბა: რუსლან აბაშიძემ მითხრა: „დაივიწყეთ აფხაზეთი!“





რა სჭირს ფარნავაზის მიერ დაფუძნებულ ქვეყანას, ქარაქუცებს რომ ეხვეწება, პარლამენტში შემოდითო?

იუა კოლონია სვანი მირზაყანი

ამბავი „მანგუსტას“ და უნასის შერკინებისა

დოქტორ ბრეგის ორმაგი ცხოვრება

თუ კავკასიის პლატფორმაში ჩვენი მოკავშირეები, აშშ და ევროკავშირი, არ ჩავრთეთ, ქართული სახელმწიფო დაიღუპება!

რამდენი მილიარდერი და მილიონერი ჰყავს საქართველოს?

ამჟამად სახელ-გვარებით უნდა ჩამოგითვალოთ ქართველი და საქართველოსთან დაკავშირებული მილიონერები. რატომ ვაკეთებ ამას, სტატიის ბოლოს გაგიმხელთ

ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობისთვის ატომურ ბომბზე უფრო საშიშია

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

განაჩენი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის მოძულეებს მომავალი გამოუტანს

დიახ, ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია და ის ამ სახელით შევა საქართველოს ისტორიაში

ვახტანგ ხარჩილავა:

ერი, რომელსაც თავისი რჩეული შვილების დაცვა და გამოქომაგება არ შეუძლია, ერი არ არის.

ერს, რომელსაც ეროვნული ღირსების გრძნობა არ გააჩნია, ყოველთვის შეუგინებენ თავის ღირსეულ შვილებს ვიგინდარები და როცა საკადრის პასუხს ვერ მიიღებენ, იგივეს გაიმეორებენ მეორედ, მეასედ, მეთასედ და ასე დაუსრულებლად, სანამ ერს სულიერად არ დააბეჩავებენ და არ დააჩაჩანაკებენ.

მტერმა იცის, მთელი ერის განადგურება და მოკვლა ერთად, ერთბაშად, შეუძლებელია, ამიტომ ის თითო-თითოდ უნდა მოკლა, მისი ყველაზე საუკეთესო შვილები ცალ-ცალკე უნდა გამოუკლა, რომ ამით დაასუსტო, დააძაბუნო, არასრულყოფილების კომპლექსით დაასნეულო, მერე კი ცხვრის ფარასავით გაირეკო წინ.

საუკუნეებია, საქართველოს სწორედ ასეთი მეთოდით კლავენ.

განსაკუთრებით საბედისწერო XX საუკუნე აღმოჩნდა — საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე მოკლეს, საუკუნის დასასრულს — ზვიად გამსახურდია, ხოლო ამ ორი მკვლელობის შუალედში უამრავი ქართველი მამულიშვილი, უამრავი ღირსეული ქართველი გამოასალმეს სიცოცხლეს.

თუმცა, სანამ ტყვიას დაახლიდნენ შუბლში, ამ ადამიანებს ჯერ მორალურად კლავდნენ, შეურაცხყოფდნენ, აკნინებდნენ, ამცირებდნენ, რომ საზოგადოებას ნაკლებ მტკივნეულად მიეღო სინათლისა და შარავანდისგან განძარცულის სიკვდილი.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა რომ ნახოთ, როგორ მიწასთან ასწორებენ ილია ჭავჭავაძეს, როგორ სვრიან ლაფსა და ტალახში, როგორი ეპითეტებით ამკობენ, შეგრცხვება, ქართველი რომ ხარ და იმ ქვეყანაში რომ დაიბადე, სადაც მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს.

იგივე მეორდება XX საუკუნის 90-იან წლებში, ახლა უკვე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

80 წელი აშორებს ერთმანეთისგან ამ ორ ამბავს, მაგრამ იმდენად ერთნაირი შინაარსის ტექსტებია, ერთი და იგივე ადამიანების დაწერილი გეგონება.

ნამდვილი ცივსისხლიანი მკვლელები არიან, სიტყვით მკვლელები, რომლებიც ტყვიისთვის გამეტებულ მსხვერპლს წინასწარ თხუპნიან კუპრით და ტალახით.

რაღაც უცნაურ, სატანისტურ რიტუალს ჰგავს ეს ყველაფერი, მიზანში ამოღებულ მსხვერპლს წრეში რომ მოაქცევენ და ჭინკებივით და მაზაკვალებივით რომ უვლიან გარშემო.

შემზარავი, შემაძრწუნებელი სანახაობაა.

სიტყვით მკვლელებითაა გატენილი ჩვენი ტელევიზიები და საინფორმაციო საშუალებები, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ე.წ. ექსპერტ-ანალიტიკოსთა კონტინგენტი.

თითქოს ქვესკნელიდან ამოყარა უჩინარმა ძალამ ბოროტი ადამიანების მთელი ლაშქარი და სხვადასხვა სეგმენტებში გადაანაწილა.

საოცარი ის არის, რომ ეს ადამიანები, რომლებიც ეშმაკის საქმეს აკეთებენ, დროთა განმავლობაში გარეგნულად თვითონაც ეშმაკს ემსგავსებიან.

რამდენიმე მამრობითი და მდედრობითი სქესის ჟურნალისტი ვიცი, შეხედავ და გამოხოხებული ეშმაკია, თავზე რქებიღა აკლია, თორემ სხვა მხრივ ყველაფრით ეშმაკია, თუმცა, თუ კარგად დააკვირდები, შეიძლება ეს რქებიც დალანდო.

ეშმაკების შემოსევაა საქართველოში და არავინ ჩანს, არული კუდიანებსო, დასჭექოს და ესენი აქედან გაყაროს.

●

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ბიძინა ივანიშვილს ეროვნული გმირი ვუწოდეთ და დაგვესია ეშმაკების ბანდა — როგორ გაბედეთ და ივანიშვილს ეროვნული გმირი როგორ უწოდეთო.

ივანიშვილის მხარდამჭერი სხვა წერილების გამოქვეყნების დროსაც იგივე ხდება — მამრობითი თუ მდედრობითი სქესის ნაცი ეშმაკები უშვერი სიტყვებით გვლანძღავენ და დედას გვაგინებენ.

ნაცები გვაგინებენ, „ქართული ოცნება“ დუმს!

„ქართული ოცნება“ ახლა კი არ დადუმდა, ის დუმდა მაშინაც, როცა ბიძინა ივანიშვილი მათი ოფიციალური ლიდერი იყო და ყველა სიკეთე, რაც ჰქონდათ, ივანიშვილისგან ჰქონდათ.

სხვა თემაა ეს და ამ თემაზე სხვა დროს აუცილებლად ვილაპარაკებ, ახლა კი იმის თქმას დავჯერდები, რომ დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო, დუმილი ზოგჯერ დანაშაულია...

იმას ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილს ეროვნული გმირი ვუწოდეთ და, ლამის არის, ჯვარს გვაცვან.

არადა, ტყუილი არ გვითქვამს — იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ამ კაცს საქართველოსთვის აქვს გაკეთებული, ის ნამდვილი გმირია და საქართველოს ისტორიაშიც გმირის სახელით შევა, მაგრამ, აბა, შეხედეთ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციურ ტელევიზიებს, შეიჭვრიტეთ სოციალურ ქსელებში — ლანძღვა-გინების რა ნიაღვარი მოდის მისი მისამართით, ლაფისა და ტალახის როგორი შავი მდინარე მოედინება. და როცა ვიღაც გაბედავს და იტყვის, რომ უსამართლოდ ვექცევით ამ ადამიანს, რომ ეს უმადურობაა, უმადურობა, ყველაზე სულმდაბლური და სათაკილო თვისება ადამიანის ბევრ უკეთურ თვისებათა შორის, ამის მთქმელს იმ წამსვე ჩაქოლვას დაუპირებენ და ამას ხაზგასმული სისასტიკით და დაუნდობლობით აკეთებენ, რომ სხვამ იგივეს თქმა არ გაბედოს.

გამაოგნებელი ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილს განსაკუთრებული ხალისით და ენთუზიაზმით ის ადამიანები აგინებენ, რომლებისთვისაც მას ძალიან ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული.

— ცოლი ბიძინამ გადამირჩინა, მაგრამ... — იტყვის ერთი.

— შვილი ბიძინამ გადამირჩინა, მაგრამ... — ამბობს მეორე.

— ძმა ბიძინამ გადამირჩინა, მაგრამ... — აცხადებს მესამე.

— მე ბიძინამ გადამარჩინა, მაგრამ... — დააყოლებს მეოთხე.

რა მაგრამ, თქვე უსინდისოებო, რა მაგრამ, ცოლი თუ გადაგირჩინა, შვილი თუ გადაგირჩინა, ძმა თუ გადაგირჩინა, შენ თუ გადაგარჩინა, ეს „მაგრამ“ რა შუაშია?

იმ შუაშია, რომ მეო, იმდენად წესიერი ადამიანი ვარ, დემოკრატიულ ღირებულებებს ვერ ვუღალატებო, პროდასავლური ორიენტაციას ვერ გადავუხვევო, — მიამიტურად აფახულებს თვალებს ფარისეველი.

იმდენი თქვენ რა გითხარით, რაც თქვენ დემოკრატია და დასავლეთი საერთოდ ფეხებზე არ გეკიდოთ, თქვე მართლა თვალთმაქცებო.

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული შავი პიარი კარგად ორგანიზებული და უხვად დაფინანსებული კამპანიაა, რომლის მიზანია, არა მარტო სახელი გაუტეხოს ბიძინა ივანიშვილს, არამედ დააკომპლექსოს, დათრგუნოს და ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს იმ მრავალრიცხოვან საზოგადოებაზე, რომელიც პატივისცემით და მადლიერების გრძნობით არის განმსჭვალული მის მიმართ.

ვიცი, რომ არსებობს ტერმინი პიროვნების პოლიტიკური დევნა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ არ ვიცი, რომელი სამართლებრივი მუხლი უნდა ამოქმედდეს მაშინ, როცა მთელ საზოგადოებას დევნიან და ავიწროებენ პოლიტიკური ნიშნით, დევნიან და ავიწროებენ ვიღაცის მიმართ სიმპათიის გამოხატვის გამო, ეძახიან ავადმყოფს, იდიოტს, დებილს, მონას, ყ.ეს, სირს.

შეიხედეთ ერთი სოციალურ ქსელებში და ნახეთ, რა ხდება იქ,

ქალიან-კაციანად ყველა იგინება, ყველა ილანძღება, ყველა იმუქრება, ყველა ბოღმასა და შხამს ანთხევს.

მსგავსი ბილწსიტყვაობა, მსგავსი სიბინძურე წარმოუდგენელია.

ეს ფსკერია, დაცემაა, სრული დეგრადაცია და გადაგვარებაა და ეს ხდება იმ საქართველოში, სადაც „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“.

თითქოს ვიღაცამ დედაბუდიანად გაგვხრწნა და გაგვრყვნა და ეს ისე დიდოსტატურად გააკეთა, ვერც მივხვდით, რა დაგვმართეს.

— ჩვენ ვერც იმას ვხვდებით, რომ, როცა ერს საუკეთესო შვილებს უგინებენ და ულანძღავენ, ამით მთელ ერს აყენებენ შეურაცხყოფას, მთელ ერს იგდებენ აბუჩად და იქითკენ გიბიძგებენ, რომ აიღო ქვა და შენივე ხელით ჩაქოლო ის, რომელმაც დაგაპურა, როცა გშიოდა, წყალი გამოგიწოდა, როცა გწყუროდა, შეგმოსა, როცა შიშველი იტავ, სიკვდილისაგან გიხსნა, როცა კვდებოდი.

გული მწყდება და რაღაცნაირი უილაჯობის და უიმედობის გრძნობა მიპყრობს, ქართველთა ერთი ნაწილის უმადურობისა და უმეცრების შემზარავ სურათს რომ ვუყურებ.

„მე არასოდეს დამიყვია ჩემი ხალხი ჩემიანებადდა სხვისიანებად“, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტიკიდან რომ მიდიოდა.

ამათ დაყვეს...

ესენი ისე ადვილად გაგიმეტებენ, თვალს არ დაახამხამებენ...

არადა, ის სიკეთეები, რაც ივანიშვილს საქართველოსთვის გაუკეთებია, ყველაზე თანაბრად ნაწილდება, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა და შეხედულებებისა.

— პირადად ჩემთვის რა გაუკეთებია ბიძინა ივანიშვილს? — არაფერი! — ხომ ხშირად გსმენიათ ეს ფრაზა.

ამის მთქმელი თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის მოქალაქედ, თორემ ის, რაც ქვეყნისთვის კეთდება, განა შენთვის არ კეთდება და შენ არ გეკუთვნის?

●

...ამ წერილს რომ ვწერ, ჩვენს შორეულ შთამომავლებზე ვფიქრობ, რომლებმაც ასი წლის შემდეგ უნდა იცხოვრონ საქართველოში.

ნეტავ, შეიძლებოდეს მომავლის მოსმენა, მომავლის მიყურადება და იმის გაგება, რას იტყვიან ისინი ჩვენზე ასი წლის შემდეგ და როგორ შეაფასებენ იმ წარსულს, რომელიც მათთვის არის წარსული, თორემ ჩვენთვის აწმყოა.

ადამიანი, სინამდვილეში, მომავლისთვის ცხოვრობს და იქიდან, მომავლიდან უყურებს თავის ნამოქმედარს და ნაღვაწს, რადგან მომავალია პირუთვნელი მსაჯული და მტყუან-მართლის დამდგენი.

ასი წლის შემდეგ, მომავლის საქართველოში, მომავლის ქართველები, როცა გარშემო მიმოიხედავენ და ნახავენ, რომ უამრავ რამეს, რაც წარსულიდან ძვირფას და ფასდაუდებელ მემკვიდრეობად ერგოთ, ბიძინა ივანიშვილის სიკეთის კვალი ატყვია, უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალებიან მის მიმართ. ის ყველას ეყვარება, მათ შორის, იმათ შვილიშვილებს და შვილთაშვილებსაც, რომლებსაც დღეს ბიძინა ივანიშვილი არ უყვართ.

ეს არის ის განაჩენი, რასაც ივანიშვილის მოძულეებს მომავალი გამოუტანს...

ეს არის მთავარი და არა ის, რას ყაყანებენ დღეს „მთავარზე“ პატარა კაცუნები.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რა სჭირს ფარნავაზის მიერ დაფუძნებულ ქვეყანას, იბერიას, ქარაქუცებს რომ ეხვეწება, პარლამენტში შემოდითო?

ფარნავაზიდან ალეკომდე, დავით აღმაშენებლიდან გირჩი ზურაბამდე, თამარ მეფიდან თაკომდე, გიორგი ბრწყინვალედან იაგომდე

რა დრო დაგვიდგა ქართველებს?

თან სასაცილოა, თან სატირალი... თან ვიცინით, თან ვტირით. ჩემი დაკვირვებით, ჟამკარი გვაქვს არეული. ჟამკარი კაი ხნის წინ აგვერიაო, ჩაილაპარაკებთ თქვენ, ირონიულად ჩაიცინებთ და გაზეთს მუთაქის ქვეშ ამოდებთ.

მოიცადეთ, შეჩერდით, არ ამოდოთ გაზეთი მუთაქის ქვეშ, გთხოვთ.

იცით, რაზე მეცინება? ამხელა კულტურის, გმირული წარსულის, გასაოცარი ისტორიისა და გამაოგნებელი ომების მომგები ხალხი იაგო ხვიჩიას ვეხვეწებით, შედი პარლამენტში, კანონები დაგვიწერე, ქვეყანა მართეო. ხვიჩია იქით იყოს, გამოგირჩებულ ზურაბასაც ვეხვეწებით, შარშან გორში რომ ჩავიდა მეგობრებთან ერთად და არაკონტროლირებად ტერიტორიას ტრაკი მიუშვირა. ტიპი დაბოლილია, ვარაუდზე ლაქლაქებს, გეგონება ცხელი კარტოფილი უდევს პირში, ძალიანაც რომ გინდოდეთ, ვერაფერს გაიგებთ. ვინმე ვახტანგ მეგრელიშვილს ვეხვეწებით, თავი კუს მიუგავს, ოღონდ კუსავით დინჯი არ გეგონოთ, გონზე არ არი, რას ბოდიალობს. ალეკო ელისაშვილს ვეხვეწებით, ამ "ტელეგრეიკიან" კინტოს, შედი, ბიჭო, პარლამენტში, თორემ დევიღუპეთო, ჩეგვეფუშა დემოკრატიაო. კიდე ვისა, კაცო?

არა, ვისაც არ ვეხვეწებით, ვისთვისაც 1 პროცენტიც კი არ მიგვიცია, ისინი უფრო გვეჩხუბებიან, არ შევალთო. აგერ, გამოვა ხოლმე ეკა ბესელია ტელევიზორში, შეჰყრის ხოლმე თავის გადაკალმულ წარმებსა, გადაიდებს ხოლმე თავისსავე ფეხსა თავისსავე ფეხზე ქათქათა "ბათინკებითა" და აქეთ გვიბრაზდება, არ შევალ, რეიზა უნდა შევიდეო? 001%-იანი ნინო ბურჯანაძეც ყოველდღე გვეჩხუბება, ტყუილად მეხვეწებით, არ შევალო, არც ირაკლი ოქრუაშვილი შევაო, არც გიგი უგულავაო, არც კაკოიე ბობოხიძეო. ამათ, ამ ბაიყუშებს არ ვეხვეწებით... მაგრამ მოლაპარაკებებზე დავდივართ, მაგიდასთან ვუსხდებით და ქვეყნის აღმშენებლობაზე ვესაუბრებით.

იცით, რაზე მეცინება თუ მეტირება?

დავიჯერო, ჩვენ ის ხალხი ვართ, დიდგორის ბრძოლა რომ მოიგო? 1121 წლის 12 აგვისტოს მაჰმადიანთა კოალიციური (560-ათასიანი) ლაშქარი ჩვენ დავამარცხეთ?

ნახეთ, რა საინტერესოა, 900 წლის შემდეგ, ისევ 12 აგვისტოს ვიზეიმეთ გამარჯვება. 2008 წლის ზაფხული იდგა, ვიდექით რუსთაველზე და ვუკრავდით ტაშსა, ვითარცა უხორცონი, გამარჯვებულნი და ნირწაუმხდარნი. თუმცა, მოდით, საკუთარ გულებში ჩავიხედოთ და ვაღიაროთ, ეს 12 აგვისტო არ იყო იმ 12 აგვისტოს მსგავსი გამარჯვება, კი ჩამოვიდნენ უცხო ქვეყნების დესპანნი და პრეზიდენტნი, მაგრამ მახსოვს, საფრანგეთის "უმფროსი" სასტუმროდან არც კი გამოვიდა. ავი ენები ამბობენ, სარკოზ პირველმა შადრევან (მიხა) მეორეს პირდაპირ უთხრა, შენ შიგ ხომ არ გაქვს, ნეტავ რას ზეიმობო?

არა, მაინც რა დრო დაგვიდგა ქართველებს?!

რა სჭირს ფარნავაზ პირველის მიერ დაარსებულ ქვეყანას, იბერიას, რომ ქარაქუცა ალეკო ელისაშვილს პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ ხელშეკრულებას უფორმებს? ავოიე, ხალხის მცირე ნაწილმა ხმა მისცა, კარგი, გავიგე, ბარიერი 1% იყო და ამის წყალობით 2 მანდატი ერგო, რა პირობებს უდებთ, რა ულტიმატუმებს უსრულებთ?

მე წავიკითხე მემორანდუმი თუ ხელშეკრულება, რომელიც ფარსმან მეორე ქველის ქვეყანამ გაუფორმა ორ ქარაქუცას და სხვებსაც ეხვეწება, მობრძანდით, დაბრძანდით, როგორც გენებოთ, ისე იქნება, იგემეთ, ბატონებო, კაი ცხოვრება, კაი ჭამა-სმა, მიდი-მოდი და ამნაირებიო.

გინდათ, გითხრათ, რაზე მოაწერეს ხელი მირიან მესამის ქვეყანამ და ალეკო (ალიკო) ელისაშვილმა?

გეტყვით: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის დადგინდება არაუმეტეს 3-პროცენტიანი ბარიერი. განხილვების ფარგლებში, პოლიტიკური პარტიები იმსჯელებენ დაბალი ბარიერის უფრო ხანგრძლივი ვადით ან მუდმივად ამოქმედების საკითხზეც. საპარლამენტო ფრაქციის შექმნის უფლება მიენიჭება პარლამენტის 4 წევრს, ამჟამად ენიჭება 6 წევრს. თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის ბარიერი იქნება 2,5 პროცენტი, ხოლო სხვა საკრებულოებისთვის – არაუმეტეს 3,2 პროცენტისა. დაინერგება ხმის მიცემა ელექტრონული აპარატის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩევლის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სკანირებასა და ამოცნობას. უზრუნველყოფილი იქნება ამომრჩევლის რეგისტრაცია თითის ანაბეჭდის მეშვეობით. ხმის მიცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ახალი ID-ბარათის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის გამოყენებით. მოქალაქეთათვის, რომლებიც არ ფლობენ ახალ ID-ბარათს, იგი უფასოდ გაიცემა. აიკრძალება და სისხლის სამართლის წესით დაისჯება საარჩევნო ბიულეტენის ფოტო და ვიდეოგადაღება.

ამ ხელშეკრულებაში უამრავი წვრილმანია, რომელიც იმიტომ წერია, რომ უნდა ეწეროს. აბა, დაუკვირდით, აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მხოლოდ ორიოდე ან სამიოდე საკითხი – ვირეშმაკებს სურთ, ბარიერი იყოს არა 5%, არამედ 3%. ალიკომ ამ არჩევნებში 3% მიიღო და იმედოვნებს, რომ 2024-შიც ამდენივეს მიიღებს, 5% არ აწყობს. პრინციპში, პრაგმატიკოსია, ვერაფერს იტყვი. შემდეგი მაიმუნობა გახლავთ ის, რომ ალეკოს სურს, პარლამენტში ფრაქციის შექმნა შეძლოს არა ექვსმა, არამედ ოთხმა დეპუტატმა და იცით, რატომ? ექვს კაცს ვერ აგროვებს, ვარაუდობს, რომ 2024-ში ოთხ კაცს გაიყვანს და ფრაქციასაც შექმნის. დიახ, თუ პარლამენტში ფრაქცია არ გაქვს და რომელიმე კომიტეტი არ გაბარია, ფაქტობრივად ხელფასზე ზიხარ, დაახლოებით 4–5 ათას ლარზე... თუ ის გაქვს, რაც უკვე ვთქვი, კაცი ხარ – ხან ფარნავაზი, ხან გორგასალი, ხან გურგენი, ხან კიდე გიორგი ბრწყინვალე. არა, სინამდვილეში ის ნაგავი ხარ, რაც პარლამენტში შესვლამდე იყავი, მაგრამ რაკი ფრაქცია ფინანსდება ასეულ ათასი ლარით, თავი გგონია მეფე.

იცით, მე მრცხვენია... არა მხოლოდ თანამედროვეობისა, წარსულისაც, ისტორიისაც, ფარნავაზისაც, ბაგრატ მესამისაც, ბაგრატ მეოთხისაც, გიორგი პირველისაც... ყველაზე მეტად დავით მეოთხისა, რომელმაც მოღალატეები სარებზე გასვა და საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გააერთიანა.

მრცხვენია მეფე თამარისა, რომელსაც მემატიანე ასე მოიხსენიებს: „დიდება ამა სამყაროსა და სარწმუნოებისა, მესიის მოვლენილი".

რა დაემართა თამარის ქვეყანას, თაკოს საჯიჯგნად იქცა?!

იყო თამარი, ხელთ შეგვრჩა თაკო, რომელიც ყოველ საღამოს ტელეუბორნიებიდან გავეშებული ბღავის: ო, როგორ მინდაااااა... ო, როგორ მინდა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეეეეს!!!

ხალხი არ გამოდის, ხალხი თაკოზე იცინის. ისე, რაღა დაგიმალოთ და... გიორგი ბრწყინვალეს სამშობლოს რა გაუჭირდა საიმისოდ, რომ ტელევიზორში თაკო უზის? ჰო, ამას წინებზე თქვა, მიხეილ სააკაშვილი ფართომასშტაბიანი პოლიტიკოსიაო, ბიძინა ივანიშვილი ფეოდალიაო, უნდა მოვაშოროთ ამ ქვეყანასო. ეგრევე გავიფიქრე, ტაში, კუკური-მეთქი. ერტი ხანობა ისიც გამეფიქრა, ცხონებულ ჯანსუღს მივწერ ღია წერილს-მეთქი. ცოტა ხნით გადავიფიქრე. თუმცა ვაპირებ. არა, რას გაიგებს, ალბათ ვერაფერს, მაგრამ მე ხომ გულიდან სათქმელს ამოვიღებ? კაი, ამაზე სხვა დროს.

ფარნავაზისა და დავით აღმაშენებლის ქვეყანაში იაგო ხვიჩია, პარლამენტში შესვლას რომ ვეხვეწებით, ტელევიზორში გამოეთრა და... მე მომეჩვენა, რომ ნიკა მელია მემუქრებოდაო. ნიკა მელია ჩემზე დიდია ფიზიკურად, ჩემზე მორევა შეუძლია, მე პარლამენტის წევრი ვარ, მაქვს იარაღის ტარების უფლება, მომეციითო. კი არ უნდა მოვკლა, უბრალოდ რომ არ გამლახოს, თავდაცვის საშუალება მჭირდებაო.

თქვენი არ ვიცი და... მე ტელევიზორს ვეღარ ვრთავ, უბრალოდ მრცხვენია, უფრო მეტად წინაპრებისა მრცხვენია – რას ვუსმენ, ვის ვუსმენ, ვის ვუყურებ? სხვათა შორის, მასებმაც კაი გვარიანად გარეკეს, გუშინ დამირეკეს, კატასტროფული ინფორმაცია უნდა შეგატყობინოთო... კაი, შემატყობინეთ-მეთქი. ეს ნაძირლები, ჩვენ მოსპობას აპირებენო, ძალიან მალე მსოფლიო მასშტაბით ბიოლოგიური ცხოვრების რიტმი სრულიად შეიცვლება და აირევაო – საათის ბუნებრივი სარტყელების დროის მნიშვნელოვანი გადაწევით გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში გათენება დაიწყება ღამის 2 საათზე, ანუ მოხდება ის, რაც ხდება დილის ექვსი-შვიდი საათიდან.

ესე იგი, გათენების დროს ამოსწევენ ზემოთ და სრულად აურევენ ხალხს წლობით დალაგებულ ბიოლოგიური ცხოვრების რიტმს, რაც ორგანიზმში გამოიწვევს ძალიან უარყოფით ცვლილებებსო.

მადლობა... მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, მაგრამ რავი, აბა? რამდენიც არ უნდა ატრიალონ საათის "სტრელკები", ღამის 2 საათზე რანაირად უნდა გაათენონ? არა, თუ "ყოვლისშემძლე" მიხა სააკაშვილი ჩაერევა საქმეში, შეიძლება უფრო ადრეც გათენდეს, მაგრამ ჩაერევა, რო?

არ ვიცი, რა დაემართა ფარნავაზის, დავითისა და თამარის ქვეყანას, რატომ დაჩმორდა ასე, რომ ხდება ის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ? აშკარად უკუსვლაა, აშკარად!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

თუ კავკასიის პლატფორმაში ჩვენ ჩვენი მოკავშირეები, ამერიკა და ევროკავშირი, არ ჩავრთეთ, ქართული სახელმწიფო დაილუპება!

გვესაუბრება სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ისტორიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე:

— ბატონო ზურაბ, თქვენი პროექტი „სამხრეთ-კავკასია — გეო-პოლიტიკური სივრცე“ წლებია არსებობს, რაც ჯერ ვერ განხორციელდა. ახლა კი, ახალ, კავკასიური პლატფორმის შექმნაზე დაიწყეს საუბარი. რას იტყვით, ამის თაობაზე?

— დიახ, ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა რეგიონთან დაკავშირებით გარკვეული ფორმატი განიხილება. ზოგადად, სამხრეთ-კავკასიის ერთიანი სივრცის იდეა ახალი არ არის. ჩემს წიგნში „საქართველოს არჩევანი“ აღნიშნული ფორმატები განხილული მაქვს. რაც შეეხება ერდოღანის ინიციატივას, პოზიციები განსხვავებულია. ფორმატი ითვალისწინებს ექვსი ქვეყნის — თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის, ირანის, საქართველოსიც და, სომხეთის ჩართულობას. საქართველოში ამას შემდეგი შეფასება მიეცა: ნაწილმა თქვა, რომ საინტერესო ხედვაა და ეს შეიძლება რეგიონის უსაფრთხოების გარანტად იქცეს, ხოლო

მეორე ნაწილის, მათ შორის, ოფიციალურის აზრით: სადაც რუსეთის ფედერაციაა, იქ, ჩვენი ადგილი არ არისო, რაც ძალიან დიდი სისულელეა. ჩემთვის, ორივე პოზიცია მიუღებელია. საქმე ის გახლავთ, რომ ერდოღანის ფორმატი სივრცეს კეტავს და საქართველოს სამოქმედო არეალს ამცირებს. ექვსეულში წარმოდგენილი ქვეყნები, რა თქმა უნდა, რეგიონში მოთამაშეები არიან და მათ გარეშე სამხრეთ-კავკასიის ვერანაირ მოდელს ვერ განიხილავ, მაგრამ აუცილებელია ამ ფორმატს დაემატოს აშშ, ევროკავშირი და სასურველი იქნება ჩინეთი. რაც მეტი მოთამაშე იქნება, მით უკეთესია ჩვენთვის იმიტომ, რომ ინტერესების მრავალფეროვნება იმატებს. როცა ინტერესები მრავალფეროვანია, როგორც ერთმანეთთან, ასევე, ჩვენს სახელმწიფო ინტერესებთან თავსებადობის მეტი შესაძლებლობა არსებობს. საქართველოს უპირატესობა მხოლოდ გეოგრაფიული დერეფნის ფაქტორით როდი შემოიფარგლება. სამწუხაროდ, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც გამუდმებით გაიძახის, რომ საქართველო არის დერეფანი.

ეს ახსნა სამარცხვინოა, რაც ქვეყნის როლს და მნიშვნელობას აკნინებს. ამ მიდგომით, რა ტენდენციაც დღეს მიდის, აღნიშნული დერეფნის ფუნქცია ნაწილობრივ ან შეიძლება სრულად სომხეთმა ჩაანაცვლოს. შედეგად, ჩვენ გეო-პოლიტიკური ღერძი კი აღარ ვიქნებით, არამედ დანამატი. ამიტომ, ამით არ უნდა შემოვიფარგლო თ. ჩვენი საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობა შემდეგში მდგომარეობს: ჩვენი ბედ-იღბალი, მისი მომავლის განსაზღვრა სცილდება ქვეყნისას. იგი უნდა გავიაზროთ როგორც საერთაშორისო მასშტაბის ინიციატივების პლატფორმა და პლაცდარმი. ჩვენ, ქართველები, პოლიტიკასთან მიმართებაში, პასიურები არ უნდა ვიყოთ. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ: როცა ყარაბაღსა და აზერბაიჯანს შორის საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ჩემი აზრით, ნეიტრალური პოზიციი დაკავება სწორი არ იყო იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ნეიტრალიტეტი გვესმის შემდეგნაირად — არ ვერევით, არ გვაინტერესებს. ისე გამოვიდა, თითქოს, ჩვენ, ეს კონფლიქტი არ გვაინტერესებს. ნეიტრალიტეტი სხვა ფორმით მესმის: ჩვენ ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ამიტომ მხარედ არ უნდა ვქცეულიყავით. არა, დამოუკიდებლობა იმას კი არ ნიშ-

ნავს, რომ რომელიმე მიმართულებით გადავხრილიყავით. პირიქით, დამოუკიდებლობამ უნდა გაიძულოს რომ ყველაზე აქტიური იყო და არა მაყურებლის როლში გამოხვიდე. ჩვენ, ეს პოზიცია ავირჩიეთ, რომ ნეიტრალური მაყურებელი ვყოფილიყავით, რაც არასწორია.

დავუბრუნდეთ, საქართველოს ერთი ნაწილის მოსაზრებას: როგორ შეიძლება ქვეყანას ასეთი პოზიცია ჰქონდეს — სადაც რუსეთია იქ, მე, არ ვითანამშრომლებო. რუსეთი არის ყველგან. იგი გაეროში უშიშროების საბჭოს მუდმივი ხუთი მობილური წევრიდან ერთ-ერთია. და არა თუ გადაწყვეტილების მიღება, აქ, რუსეთის გარეშე საკითხის განხილვაც კი არ ხდება, მას ვეტოს უფლება აქვს. ახლა, რა ვქნათ, გამოვიდეთ გაეროდან, ეუთოდან? ჟენევის ფორმატი რისთვის შეიქმნა ხომ ვიცით? გამოვიდეთ მაშინ ჟენევის ფორმატიდანაც. რუსეთთან პრეტენზია ჩვენ გვაქვს და არა მას. თუ ვინმეს აწყობს რომ ჩვენ არ იყოთ წარმოდგენილი ფორმატში სადაც რუსეთია, ეს არის თავად რუსეთის ფედერაცია. არ ვამბობ, რუსეთს რაღაც დავუთმოთ-თქო. პირიქით, რომ არ დავუთმოთ, ამ ველზე ამიტომ უნდა შევიდე თ.

— რატომ უჭერთ მხარს კავკასიის პლატფორმაში აშშ-სა და ევროკავშირის ჩართულობას?

— მოგახსენებთ: ჩვენ, ამჟამად განიარაღებული და ყველა შემთხვევაში, დაჩაგრულ პოზიციაში ვრჩებით. ამბობენ: აშშ საქართველოს სტარტეგიული პარტნიორიაო. ეს გამორიცხულია. როცა აშშ-ს ამ კონტექსტში განიხილავ, ეს ნიშნავს, რომ მას შეურაცხყოფას აყენებ. არ შეიძლება ამერიკა შენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი იყოს. კი ბატონო, აშშ-ს შენდამი მხარდაჭერას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შენ მისი სტრატეგიული პარტნიორი ხარ. აბა, ერთი შემთხვევა მითხარით, სადაც ამერიკამ გლობალურ პოლიტიკასთან ან მისი ხედვის ჩამოყალიბებასთან, ტაქტიკასთან, სტრატეგიასთან დაკავშირებით რაიმე გაუზიარა საქართველოს ან ჰკითხა: როგორ მოვიქცე, რა ნაბიჯი გადავდგა, ან აზრის ფორმირებაში დამეხმარე როგორც სტრატეგიულ პარტნიორსო? ასე, არ ხდება, ხომ. ჩვენ ვინ ვართ. როგორ ვწევთ თამასას მაღლა და ამერიკას როგორ ვუტოლებთ თავს. ამავე დროს, ამერიკა არის ქვეყანა ვისი მადლიერიც უნდა ვიყოთ. მაგრამ ნუ ვაკნინებთ ამ ურთიერთობებს. თუ მკაფიო პოზიცია არ გვექნება და ჩვენს როლს შევზღუდავთ, ასე დავკარგავთ კავკასიაში ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული მიმდინარეობის დამაკავშირებელ ფუნქციას, ასევე, უნიკალურ გეო-პოლიტიკურ და გეო-ეკონომიკურ სტატუსს. აშკარაა, რომ გლობალიზაციას რეგიონალი-

ზაციისკენ მივყავართ. თუ ერდოღანის პლატფორმის გაფართოება, მისი შევსება არ მოხდა ანუ, აშშ, ევროკავშირი და შეთანხმებით ჩინეთი არ დაემატა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რეალურ საფრთხეს გააჩენს. კერძოდ, პირველი — დაირღვევა რეგიონის ერთიანი ეთნო-კულტურული სივრცე და სამხრეთ-კავკასიის ქვეყნებს შეეზღუდება თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანის საშუალება. ანუ, შევიზღუდავთ ჩვენს სუვენერიტეტს.

ასე, ნანატრი დეოკუპაციის ნაცვლად, ჩვენ, ხელს შევუწყობთ ოკუპაციის პროცესს და მის ლეგიტიმაციას. რუსეთის სამხედრო ბაზა სომხეთშია. ახლა, იგი თავის პოზიციას აფიქსირებს აზერბაიჯანშიც. ჩვენ, რას ვაკეთებთ, რა პროცესის ხელისშემწყობნი ვართ? — რისი და რუსეთის სამხრეთ-კავკასიაში ვაბრუნებთ. დიახ, ის სამხრეთ-კავკასიიდან არსად წასულა, თავისი ინტერესები აქვს. მაგრამ დღეს ჩვენ მას მხოლოდ ინტერესს კი არ ვუბრუნებთ, არამედ კიდევ უფრო დიდ ინტერესს ვუჩენთ, რეალიზაციის საშუალებას, ძალას, იარაღს ვუბრუნებთ. მესამე — ინტეგრაციის ნაცვლად გაგრძელდება სახელმწიფოთა ერთმანეთისაგან გამიჯვნის პროცესი და არსებული დე-იურე და დე-ფაქტო საზღვრების გარდა რაც დღეს გვაქვს, რეგიონში ახალი ტიპის საზღვრების წარმოქმნის მოწმე გავხდებით. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ აი, ნახავთ თუ არ გავხდებით ახალი საზღვრების გაჩენის მოწმე. ეს ყველაფერი ვის ხარჯზე, ვის ტერიტორიაზე მოხდება? — რა თქმა უნდა, ჩვენი — საქართველოს. ამიტომ, ქართველები რომ ვამბობთ გონიერებით არავის ჩამოვრჩებითო, არ მოვიდა დრო გასაჭირმა ახლა მაინც გვაზიაროს სიბრძნეს?

— ბატონო ზურაბ, კავკასიის პლატფორმაში ჩართულობით ხომ არ გამოვდივართ ოკუპაციის შემგუებელნი. თქვენს პროექტში საუბარია როგორ მიუახლოვდეთ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის პრობლემის გადაჭრის გზებს, ამ ფორმატით კი პირიქით, ხომ არ ვშორდებით?

— ცალსახად ვამბობ, ერდოღანის შემოთავაზებულ ფორმატს თუ არ დაემატა რეალური ძალა — აშშ და ევროკავშირი, მაშინ ჩვენ, იქ, არაფერი გვესაქმება. მაგრამ რომ ვთქვათ: არ გვინდა ამ ფორმატში მონაწილეობაო და პროცესი ჩვენს გარეშე დაიწყოს, ეს გამოსავალი არ არის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ფორმატიდან არ ამოვვარდეთ, გამიჯვნის ფუფუნება, მხოლოდ იმიტომ რომ აქ რუსეთია წარმოდგენილი, არ გვაქვს. რა შუაშია რუსეთის ამ ფორმატში მონაწილეობა ან ის, რომ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს? ჩვენი პრეტენზია ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ეხება. რუსეთი არის ოკუპანტი. მასთან დიალოგში უნდა შევიდეთ. ჟენევის ფორმატში ხომ ვართ დიალოგში, ასევე გაეროში, ევროკავშირში, უამრავ საერთაშორისო ფორუმებში. მაგ-

რამ კონკრეტულად ეს ფორმატი რეგიონს ეხება. აქ, ყველაზე უფრო მეტი აქტიურობა გვმართებს. თუმცა, განიარაღებული და დაჩაგრული რომ არ ვიყოთ, ფორმატიდან კი არ უნდა ამოვვარდეთ, პირიქით, მოვითხოვოთ, რომ აშშ და ევროკავშირი დაემატოს. ჯერ ერთი ეს ჩვენ გვაწყობს, მაგრამ ასევე, აწყობს აშშ-ს და ევროკავშირს. მას როგორც მხარდამჭერს შესაძლებლობა და განწყობა უნდა შევუქმნათ, რომ ეს რეგიონი არ მიატოვოს, თორემ, დავიღუპებით.

რა გვინდა, რას ვაკეთებთ, პროცესს ვაჩქარებთ რომ სივრცე კვდომისკენ მიდრეკილი გავხადოთ?! სივრცის კვდომა იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის თვითონ სივრცე გაქრება, არამედ ჩვენ მოვკვდებით ამ სივრცეში. რა ჭირს აფხაზეთის სივრცეს? იქ, აბორიგენი მოსახლეობა არის ქართველი და აფხაზი, ხომ. დღეს, ორთავე კვდომისკენ არის მიდრეკილი. რატომ? — სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარე, რაც მოგახსენეთ. იცი, როგორ ხდება კვდომის პროცესის შეჩერება? — პოლიტიკური თამაშის წესების დაცვით არსებული მოცემულობის შეცვლის გზების ძიები თ. ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ ამ ფორმატის მოცემულობა შევცვალოთ, პრობლემისგან ზურგით ვდგავართ და მისი გადაწყვეტის გზას არ ვეძებთ. რა არის ამისთვის აუცილებელი? — ქვეყნის მიზანი უნდა განვსაზღვროთ. იცი, საქართველოს რა მიზანი აქვს? — მე, არ ვიცი. ამიტომ, უნდა ჩამოვაყალიბოთ ამ მიზნის მიღწევის, მსოფლმხედველობის, გარემო პირობების, დროის და სივრცის შესაბამისი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. აუცილებელია დამატებითი ინტერესი და მსოფლიოს მოუწესრიგებელ ძალთა წონასწორობის დაცვა. ამ ორი პრინციპით საერთაშორისო ფუნქცია უნდა შეიძინო: დაასაბუთო ერთიანი სივრცის საჭიროება, მათ შორის, გარესამყაროსთან. ჩვენ მოთამაშე არ ვართ, პოლიტიკური თამაშის წესები არ ვიცით, ქვეყნის მიზანი რა არის გაცხადებული არ გვაქვს, საშუალება რა არის არ ვიცით. აღრეული გვაქვს ერთმანეთში მიზანი და საშუალება და არცერთი მუშაობს. ამ სივრცეში ვქრებით. გამოსავალი — ვერ გავიგეთ, რომ მოცემულობა უნდა შევცვალო თ. ან ერთიანი სივრცე უნდა აღვადგინოთ ან ამ ახალ სივრცეში უნდა შევქმნათ ახალი სივრცე ისე, რომ ჩვენ ვიყოთ ამ სივრცის პატრონი და ყველა დანარჩენი ჩვენს გარშემო ამ პროცესის თანამონაწილე გახდეს. ამ სივრცის აღდგენაში მხოლოდ ჩვენ კი არ ვიქნებით პატრონი, არამედ ის მოთამაშეები ვინც ამ ფორმატშია, მოკავშირეები იქნებიან არა ჩვენი, არამედ თავიანთი ინტერესის რეალიზაციის გამო. უნდა გავაჩინოთ ჩვენი საჭიროება და აუცილებლობა. ამის ნაცვლად, ვიძახით: არ მივიღებთ ამ ფორმატში მონაწილეობასო. ძალით ვინ შეგვეხვეწება — ჩვენს ადგილს სხვა დაიკავებს და არც ბოდიშს მოგვიხდის ვინმე. ეს ჩვენი ბრძოლის, ფიქრის საგანი უნდა გახდეს.

— ანუ, თქვენ საფრთხეს ხედავთ შემდეგში: სამხრეთ-კავკასიური სივრცე იმდენად მიმზიდველია, რომ ეს მსოფლიოს გეო-პოლიტიკურმა ცენტრებმა იციან და ინტერესიც გაიზარდა?

— რასაკვირველია, ასეა. როცა ვამბობთ, რომ დღეს, რეგიონული პოლიტიკა იმარჯვებს, რა როლი აქვს საქართველოს? მართალია კავკასია ერთიანი რეგიონია, მაგრამ ეს არის კავკასიურის, აღმოსავლურის და დასავლურის სინთეზი. ჩვენი სამოქმედო არეალი არის სამხრეთ-კავკასია, სადაც საქართველოს ოდითგანვე მაორგანიზებელი ცენტრის პროირიტეტული მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება კავკასიას როგორც მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციის აკვანს, საქართველოც ამ ისტორიის ნაწილია. მაგრამ მეოთხე საუკუნიდან დღემდე კავკასიური ერთობის იდეის რეალიზაცია არ მომხდარა. ძველი იდეისადმი ჩაბღაუჭებას არ სჯობს, შევქმნათ ისეთი ფორმატი, სადაც ჩვენი ინტეგრირება კი არ მოხდება, არამედ ქვეყნებს ჩვენი ბედის თანაზიარს გავხდით. მეორეც, დღეს ანგარიშგასაწევია გარე ძალები და მით უმეტეს, რუსეთი. რუსეთისთვის კავკასიური

სოლიდარობაც კი მიუღებელია. მან შენგან საფრთხე არ უნდა დაინახოს. კავკასიელ ხალხთან მხოლოდ კულტურულ-ცივილიზაციურ ურთიერთობას განვიხილავ, ხოლო სამხრეთ-კავკასიას სახელმწიფოების შემკრებ იმ ერთიან რეგიონულ სივრცედ, რომელიც ერთად წარსდგება მსოფლიოს გეო-პოლიტიკურ ცენტრად. ერდოღანის ფორმატი საშიშია ჩვენთვის იმიტომ, რომ აქ არის ღია და ფარული ინტერესები. რა თქმა უნდა, ამერიკასაც აქვს თავის ინტერესი და რუსეთსაც. ასევე, რეგიონი დაინტერესებულია ყველა გავლენიანი ძალი თ. ეს მრავალფეროვნება და მოთამაშეების რაოდენობა გამორიცხავს საქართველოსა და საერთო ინტერესებისადმი ყოველგვარი ცალმხრივი სტრატეგიის არსებობას. ჩვენ შემდეგი გზით უნდა წავიდეთ: ამ ფორმატში მეტი მოთამაშე და ჩვენი მოკავშირე იყოს. ასე თუ არ მოხდა, მაშინ დასაშვებს ვხდით, რომ რეგიონული სივრცის ბედი ისევ რუსეთმა და თურქეთმა გადაწყვიტოს. დღეს, რუსეთია ოკუპანტი, მაგრამ გავიხსენოთ, ჩვენი ისტორიის უახლესი წარსული. საქართველოს რა ნაწილია თურქეთის ტერიტორიაზე, მოსახლეობის რა რაოდენობაა გათურქებული? თურქეთმა ბევრად მეტი ზიანი მოგვაყენა. მაშინ, ჩვენი თურქებისგან დაცვის პასუხისმგებლობა, რუსეთმა აიღო, ხომ. რუსეთის იმპერიის და საბჭოთა პერიოდშიც, ჩვენ, აჭარიდან დაწყებული თურქეთისგან ბევრი ტერიტორია დავიბრუნეთ. ამას რუსეთი ჩვენი სიყვარულის გამო კი არ აკეთებდა, არამედ თურქეთი მისთვის საფრთხე იყო და ეს მის კი არა, ჩვენს საზღვართან უნდა შეეჩერებინა. ჩვენ ბუფერი ვიყავით. ჩვენი პოლიტიკა როგორია? სახეზეა ორი ოკუპანტი — თურქეთი და რუსეთი. კი დღეს თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ საქართველოს გუშინდელი მტერია. ორთავემ თავიანთი ინტერესები ჩვენს წინააღმდეგ გააერთიანეს. ამას ხომ უნდა მოხერხება. ერთი რამ უნდა გავიგოთ: ხვალ ამ ორი ქვეყნის — რუსეთის და თურქეთის სტრატეგიული და ხანგრძლივი მომავალი გამორიცხულია იმიტომ, რომ ეს ინტერესები ერთმანეთის შეუსაბამოა. ჩვენი რესურსი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ დემოგრაფიული, გეო-პოლიტიკური, გეო-ეკონომიკური, სოციო-კულტურული და კულტურულ-ცივილიზაციური. ჩვენ არ ვართ მხოლოდ ერთის ნაწილი. კი, რა თქმა უნდა, ჩვენი ხვალინდელი დღე ევროპასთან არის დაკავშირებული. დიახ, მისი ნაწილი ვართ, მაგრამ მისგან განსხვავებული. ეს არის ჩვენი ბუნებრივობა. მე, როგორც ნაწილი, ამავე დროს, ევროპის განშტოება ვარ. ეს არის ჩვენი კავშირი აღმოსავლეთთან. ამიტომ, ჩვენ ვართ ხიდი ისტორიების, კულტურების, რელიგიების, ტრადიციების დამაკავშირებელი დასავლეთის აღმოსავლეთთან და ჩრდილოეთის სამხრეთთან. საქართველო ევროპული კულტურის აკვანია, მაგრამ ერთ-ერთი განშტოებაა. საქართველო არის ღერძი — კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის მსოფლმხედველობა. ჩვენ, ეს არ ვიცით. პროტო-ქართულმა კულტურამ საფუძველი დაუდო თანამედროვე ცივილიზაციის წინამორბედ კულტურებს. საქართველო ევროპის და აზიის ცივილიზაციების სიმბოლოა. დავუბრუნდეთ, პლატფორმას. ირანს აქვს პრეტენზია, რომ ყარაბაღის პრობლემა თურქეთმა და რუსეთმა მის გარეშე მოაგვაროონ. ვიცით, რომ ირანი სომხეთის სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ირანში სამჯერ მეტი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ვიდრე აზერბაიჯანში. თუმცა, როცა საქმე ინტერესებს ეხება, ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ირანი სომხეთის ანუ, აზერბაიჯანის მტრის სტრატეგიული პარტნიორი ყოფილიყო. დღეს იგი პრეტენზიებს აცხადებს და უნდა ამ პროცესში ჩაერთოს. საქართველოს ჩართულობის გარეშე როგორ მოხერხდება ყოველივე? ნებისმიერი შეთანხმება, რაც რეგიონში ჩვენს გარეშე მოხდება, ნიშნავს, რომ საქართველო თავის ფუნქციას დაკარგავს. ჩვენი პოზიცია არ უნდა იყოს ისეთი, როგორიც ყარაბაღის ომის დროს გვქონდა.

— რამდენჯერმე ახსენეთ, აშშ და ევროკავშირი უნდა ჩაერთოს ამ ფორმატშიო. ჩვენროგორც ნატოსკენ მსწრაფვი უცხო სხეული, ამ ფორმატში თამაშგარე მდგომარეობაში ხომ არ ვრჩებით?

— არა, არა. ერთი რამ უნდა გავიგოთ: ქვეყნის სურვილი არ განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო ორიენტირს. ეს არ არის საკმარისი პირობა. ქვეყნის საგარეო ორიენტირს განსაზღვრავს ისტორიული აუცილებლობა. არ მინდა, რომ ეს აუცილებლობა რუსეთმა და თურქეთმა შემიქმნას.

— ამერიკა მოიცლისო, ამბობთ. ბაიდენს ტრამპმა საკმაოდ დანაღმული ველი დაუტოვა. ამ ფონზე, ჩვენთვის ეცლება?

— ამერიკა საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, რაც მას ხვალ და ზეგ უფრო გააძლიერებს, ჩვენსავით კი არ დააკნინებს. ჩვენ — საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს ხომ არ გვგონია, რომ სრულფასოვანი სახელმწიფოები ვართ? აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, მაგრამ ჩვენ საბჭოური სისტემის 30-წლიანი უსისტემო დემონტაჟის პროცესში ვართ. თან, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზა წინააღმდეგობებითაა სავსე. პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციის ზღურბლზე ვართ და იმ ნაღმებიდან ვერ გამოვედით, რაც რუსეთმა საქართველოში ჩადო. კონფლიქტი არ არის მხოლოდ ქვეყნის შიდა საქმე. პრობლემა საშინაოდ რომ გვექცია, ფორმალური ინტერნაციონალიზაცია მოვახდინეთ. საა-კაშვილმა საქართველო რეგიონის გარეთ გაიტანა, სამხრეთ-კავკასიიდანაც ამოაგდო. შევარდნაძემ აფხაზეთი და სამაჩაბლო ამოაგდო საქართველოდან. ეს არის საერთო რეგიონული პრობლემა, რაც ერთიანი რეგიონის კონტექსტში უნდა გადაწყდეს. სამხრეთ-კავკასია უნდა იყოს ერთიანი, ახალი სამშვიდობო სივრცე, ყველასთვის გახსნილი, მისაღები და არა მხოლოდ რუსისთვის და თურქისთვის. ამას მოთამაშეების რაოდენობა კი არა, ხარისხი განსაზღვრავს. ამ განწყობას მაძლევს აშშ და ევროკავშირი. არადა, მეუბნებიან: მათ გარეშე უნდა ვიმოქმედოთო. ეს პროცესი ასე არ დასრულდება. ვიმეორებ, ამერიკა მოიცლის და დაბრუნდება. მადლიერება გამოვხატოთ და ვთქვათ: ამერიკის მხარდაჭერას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ბედიდან გამომდინარე, ვალდებული ვართ დაველოდოთ ამერიკის ამ ფორმატში შემოსვლას და გადაწყვეტილებები ამის შემდეგ მივიღოთ. ამერიკა თვითონ შეაჩერებს ამ ფორმატის მოქმედებას ევროკავშირთან ერთად. ჩვენ გავაჩინოთ ახალი ფორმატი, მოდელი. დავდოთ ახალი პროექტი მათი მონაწილეობით და ვნახოთ, რომელი გაიმარჯვებს. ვინც ძლიერია მართალიც ის არის. ვინ უფრო ძლიერია ამერიკა და ევროკავშირი თუ რუსეთი და თურქეთი?! ერთი რამ ვიცოდეთ: რუსეთი და ამერიკა რაც არ უნდა წინააღმდეგობაში მოვიდეს ერთმანეთთან, მათი ურთიერთობა იძულებითია. ისინი საერთო ინტერესებს ყველა ვარიანტში იპოვნიან. ჩვენ, ვქმნით ამის პრეცედენტს, რათა მათ ეს ინტერესები ამ სივრცეში იპოვონ. საქართველოს აქვს გეოგრაფიული, გეო-პოლიტიკური, გეო-ეკონომიკური, სოციალ-კულტურული და კულტურულ-ცივილიზაციური უპირატესობა. ეს არავის აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. კავკასია საქართველოს დღესაც აღიქვამს როგორც ცენტრს. კავკასიაში იცი რას ამბობენ: ქალაქს მივდივართო და ამაში თბილისს გულისხმობენ. ეს, რატომ უნდა დავკარგოთ? ჩვენ ხომ ამერიკისგან უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს არაღიარების პოლიტიკასთან დაკავშირებით და მეტიც, ქვეყანას, რომელიც აღიარებს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობას, ამერიკა სანქციებს უწესებს. რატომ არ ვამუშავებთ ამას ჩვენს სასარგებლოდ? ეს არის რესურსი. ძალა მარტო რესურს კი არ აქვს, მისი გამოყენების შესაძლებლობას. მთავარი ეს არის. ჩვენ, ყველა სარგებელს ჩვენს წინააღმდეგ ვამუშავებთ. იგივე, აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენს ტერიტორიებს, თანდათანობით, ნაწილობრივ, არ ითვისებენ? რუსეთის ოკუპაცია განა მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის 20%-ით შემოიფარგლება? ეს ხომ განგრძობადი პროცესია. როგორ შეაჩერებ ამას, როცა ამბობ კავკასიური პლატფორმის ნაწილად მინდა ვიქცე აშშ-ს და ევროკავშირის გარეშეო. ანუ, ვინც შენი ქვეყნის ნაწილის დამოუკიდებლობას არ აღიარებს ის არ გყავს ამ ფორმატში და შენ, აქ, შეაჩერებ ამ ოკუპაციას? ეს რა სიბრიყვეა. ჩვენ, უნდა მივუბრუნდეთ ჩვენი განვითარების ვექტორს. ჩემი პროექტი გათანამედროვებული კარგად დავიწყებული ძველია. ნებისმიერი ტრაგედია ბადებს კათარზისს. დღეს ისეთი სიტუაცია გვაქვს, რომ მარადიული განახლების აუცილებელი პირობის წინაშე ვართ. ეს თუ ვერ დავინახეთ, მაშინ ვიქნებით მაყურებელი იმისა თუ როგორ სამარდება ქართული სახელმწიფო.

თამარ შველიძე
555 23 28 24

როგორ მოვგუდოთ საქართველო?

„ნაცმოძრაობა“ და ოპოზიციური პარტიები, რამდენიმე სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ ბინძურ თამაშში არიან ჩართულები, ხოლო სააკაშვილი ამ თამაშიდან მილიონებს ქაფავს

„საერთო გაზეთს“ ესაუბრება ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა პოლიტიკური ცხოვრების კულუარებში და, ამასთან ერთად, კარგად იცნობს „ნაცმოძრაობის“ შიდა სამზარეულოს.

ვასრულებთ მის თხოვნას და მის ვინაობას არ ვასახელებთ.

„მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ბავშვობაში ოცნებობდა, რომ მაფიოზი გამხდარიყო, ფაქტობრივად, აიხდინა ოცნება და მართლაც გახდა საერთაშორისო მასშტაბის მაფიოზი, ოღონდ პოლიტიკოსის ტიტულით.

სააკაშვილი არ არის გამონაკლისი მოვლენა, რადგან თანამედროვე პოლიტიკა, მსოფლიოს მასშტაბით, იმდენად არის კრიმინალიზებული, რომ ზოგჯერ ჭირს იმის გარკვევა, სად გადის ზღვარი პოლიტიკასა და კრიმინალს შორის.

თანამედროვე გლობალისტური მსოფლიო მკვეთრად განსხვავდება თუნდაც ნახევარი საუკუნის წინანდელი მსოფლიოსგან.

დღეს სხვადასხვა სახელმწიფოების თუ მსხვილი კორპორაციების ეკონომიკური ინტერესები იმდენად არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული და ერთმანეთზე სისხლხორცეულად დამოკიდებული, რომ წარმოუდგენელია, რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკურმა ელიტამ დამოუკიდებელი თამაში

ითამაშოს და ანგარიში არ გაუწიოს სხვა ქვეყნების ინტერესებს.

გამომდინარე აქედან, პოლიტიკა მსოფლიო ბაზრის გლობალური მართვის ინსტრუმენტი გახდა, ამ ბაზარზე კი მილიარდები და ტრილიონები ბრუნავს, რაც, ცხადია, ნოყიერ ნიადაგს და სერიოზულ მოტივაციას ქმნის კრიმინალური გარიგებებისთვის, საერთაშორისო მასშტაბის კორუფციული სქემებისთვის.

ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ იქნება აზრს მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე პოლიტიკა, ეს არის ერთი დიდი ტრანსკონტინენტალური დანაშაულებრივი სინდიკატი, კრიმინალურ-მაფიოზური ქსელი, რომელიც მთელ დედამიწას ფარავს.

თუ გინდა, გადარჩე, თუ გინდა, ადგილი დაიმკვიდრო და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიო, როგორც პოლიტიკოსმა, ამ ქსელში უნდა ჩაერთო, მისი თამაშის წესები უნდა მიიღო და ამ წესებს უნდა დაემორჩილო, თუ არადა, მარცხისა და, ზოგ შემთხვევაში, სიკვდილისთვის ხარ განწირული.

მიხეილ სააკაშვილი, თავისი გავლენიანი ბიძის წყალობით, რომელიც თვითონ არის ამ საერთაშორისო სინდიკატის წონიანი მოთამაშე, ახალგაზრდულ ასაკშივე აქტიურად ჩაერთო მსოფლიო პოლიტიკის მაფიურ ქსელში და მალევე დიდი გამოცდილებაც შეიძინა.

ის საკმაოდ ნიჭიერი მოწაფე გამოდგა და უცბად შეითვისა ის თვისებები და უნარ-ჩვევები, რომელთა გარეშეც თანამედროვე პოლიტიკის სახიფათო და სარისკო ჯუნგლებში გზას ვერ გაიკვლევ.

ის თავიდანვე მიხვდა, რომ, თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, უნდა გადაეჩვიო და უნდა დაივიწყო ყველა ადამიანური თვისება — მორალი, სინდისი, სირცხვილის გრძნობა, ვალდებულების და პასუხისმგებლობის გრძნობა, სიკეთე, სიბრალული, დადებული პირობისადმი, ნათქვამი სიტყვისადმი პატივისცემა, თანადგომა, უადგილო სენტიმენტები.

სააკაშვილი ჩვეულებრივი ადამიანიდან ცოფიან, სასტიკ, დაუნდობელ პოლიტიკურ ცხოველად იქცა, რომელმაც პირველ ჯერზე თავისი პოლიტიკური მამა, ედუარდ შევარდნაძე, შეჭამა, შემდეგ კი მამას თავისი პოლიტიკური დაძმებიც მიაყოლა.

როგორც ჩანს, სააკაშვილში გენეტიკურად, დაბადებიდანვე დევს ეს დემონური თვისებები, თორემ ამ ყველაფრის შესისხლხორცება და საკუთარ თავზე მორგება ნორმალური ადამიანისთვის თითქმის შეუძლებელია.

მართალია, სააკაშვილი თავის თავს დიდ პატრიოტად, ქვეყნის მოამაგე სახელმწიფო მოღვაწედ და მამულიშვილად წარმოაჩენს, თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი, რაც მას უკეთებია, ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

იგი პოლიტიკას განიხილავს არა როგორც საკუთარი ქვეყნის მსახურების საშუალებას, არამედ, როგორც დიდი ფულის, დიდი ბიზნესის კეთების ეფექტურ ბერკეტს.

ამავე კუთხით უყურებდა იგი იმ სახელმწიფოსაც, რომლის პრეზიდენტიც 9 წლის განმავლობაში იყო.

ქართული სახელმწიფო მისთვის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლა-გამოცვლის, საფრიანი ვაჭრობის საგანი იყო, რის შედეგადაც მან, როგორც ამბობენ, მილიონები კი არა, მილიარდები იშოვა.

მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა იმ საქართველოს ნაცვლად, რომელიც მან, როგორც პრეზიდენტმა, 2004 წელს ჩაიბარა, უკან 20 პროცენტით დაპატარავებული და შემცირებული საქართველო დაგვიბრუნა.

ქართულ მიწა-წყალს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილის „მეფობის“ დროს ჩალის ფასად არის გასხვისებული და გაყიდული უამრავი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი.

— იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა! — აი, ეს იყო „ნაცმოძრაობის“ დროს ეკონომიკის „განვითარების“ მთავარი ფორმულა, რომელიც რუსეთიდან ამ საქმისთვის სპეციალურად გამოგზავნილმა კახა ბენდუქიძემ შემოუგდო „გოიმ“ ქართველებს.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ
ᲠᲐᲭᲐ-ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲐᲦᲚᲘᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲠᲐᲭᲐ-ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲗᲐᲜᲗᲐ

დალახული პარტიის ლიდერშიფსაც აქვს და ამ თემის გარშემო კულუარებში საუბრობენ კიდევაც.

მივადექით მთავარ კითხვას: ვინ გაიღო ეს ფული და რა შეპირება მიიღო სააკაშვილისგან ამ ფულის სანაცვლოდ?

თუ გავიხსენებთ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩატარებულ წინასაარჩევნო კამპანიას, დავრწმუნდებით, რომ „ნაცმოძრაობა“ მის კონტროლს დაქვემდებარებული ტელევიზიების, სოციოლოგიური გამოკვლევების, ექსპერტების, ანალიტიკოსების მეშვეობით, არა მარტო საქართველოს მოსახლეობას არწმუნებდა იმაში, რომ ამ არჩევნებში აუცილებლად „ნაცმოძრაობა“ და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია გაიმარჯვებდა, არამედ არწმუნებდა კიდევ რაღაც სხვა ძალებს ქვეყნის გარეთ (გახსოვთ, ალბათ, ამ გამარჯვებას „ნაცმოძრაობა“ წარმოადგენდა, როგორც უკვე შემდგარ ფაქტს, როგორც რეალობას).

პარალელურად მიდიოდა მსჯელობა კოალიციური მთავრობის და ამ მთავრობაში მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესახებ.

„ნაცმოძრაობიის“ მხრიდან პრემიერად სააკაშვილის კანდიდატურა დასახელდა, რომელიც ხან ზღვით, ხან — ხმელეთით აპირებდა საქართველოში შემოსვლას და ძალაუფლების ხელში აღებას.

იმართებოდა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ხალხმრავალი მიტინგები სხვადასხვა რეგიონებსა და ქალაქებში, რომლებსაც, როგორც შემდეგ გაირკვა, ერთი და იგივე ადამიანები, დაქირავებული მომიტინგეები, ესწრებოდნენ, რომლებსაც ნაციონალები ქალაქიდან ქალაქში, რეგიონიდან რეგიონში დაატარებდნენ და ამით ქმნიდნენ ილუზიას, რომ „ნაცმოძრაობას“ საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა ჰქონდა.

როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობის“ მობილიზაციამ და პიარტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებამ მიზანს მიაღწია — სპონსორი დარწმუნდა, რომ ხელისუფლება იცვლებოდა და დიდი დაფინანსებაც უპრობლემოდ წამოვიდა, თუმცა მალევე გაირკვა, რომ „ნაცმოძრაობა“ და ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები მანდატების საჭირო რაოდენობას ვერ აგროვებდნენ და ძალაუფლებას კვლავ „ქართული ოცნება“ ინარჩუნებდა.

ამის შემდეგ ჩაერთო მოქმედებაში გეგმა-ბ — არჩევნების გაყალბებულად მონათვლა და პარლამენტისთვის ბოიკოტის გამოცხადება.

ელჩების მონაწილეობით გამართული მოლაპარაკებების პროცესებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ „ნაცმოძრაობა“ საერთოდ არ უწევს ანგარიშს არც ევროკავშირს, არც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს აშშ-ს, რაც იმის დასტურია, რომ ის ერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ფარული მოკავშირეა და მის დაკვეთას ასრულებს.

თუმცა კავკასიის რეგიონში ბოლო დროს წარმოქმნილ ახალ პოლიტიკურ გარემოებათა გამო ეს მეზობელი შეიძლება ერთი კი არა, ერთდროულად რამდენიმე იყოს.

მხედველობაში გვაქვს ე.წ. კავკასიური პლატფორმის პროექტი, რომელმაც ყარაბაღის მოვლენების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა შეიძინა.

პროექტის მონაწილედ ექვსი სახელმწიფო სახელდება — რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, თუმცა მთავარი სიტყვა მაინც სამ დიდ სახელმწიფოს: რუსეთს, თურქეთს და ირანს ეკუთვნის.

ექსპერტთა შეფასებით, პროექტის მიზანია, კავკასიის რეგიონიდან საერთოდ ამოუკვეთონ ფეხი ნატოს და ევროკავშირს, ეს ფეხი კი ორივეს ერთადერთ ქვეყანაში, საქართველოში უდგას.

გამომდინარე აქედან, საჭიროა, შემცირდეს და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი საქართველოს ფუნქცია და მნიშვნელობა ამ რეგიონში, რაც მას თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით აქამდე ჰქონდა და მეორე და მთავარი — დაკნინდეს და შეილახოს საქართველოს, როგორც რეგიონში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯი, რაც ადვილად შეიძლება მიღწევადი გახდეს, თუ საქართველოს პარლამენტი მრავალპარტიული კი არა, ერთპარტიული იქნება.

ეს, ცხადია, შეანელებს დასავლეთის, ამავე დროს, ნატოს მოტივაციას, ითანამშრომლოს საქართველოსთან, დაეხმაროს მას დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, მჭიდროდ ითანამშრომლოს მასთან და აღიქვას ის, როგორც პარტნიორი სახელმწიფო.

ჩიხურ მდგომარეობაში აღმოჩენილი საქართველო, ცხადია, ვერ შეძლებს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას შემოთავაზებული ხვედრისგან თავის დასაღწევად.

საქართველოს თანდათან მოგუდვის მცდელობა — ასე შეიძლება ეწოდოს კავკასიური პლატფორმის მზაკვრულ და დამანგრეველ გეგმას.

„ნაციონალური მოძრაობა“ და დანარჩენი ოპოზიციური პარტიები საქართველოს წინააღმდეგ წამოწყებული ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებას უწყობენ ხელს, როცა კატეგორიულ უარს აცხადებენ პარლამენტში შესვლაზე და ქვეყნისთვის ერთპარტიული, არადემოკრატიული სახელმწიფოს იარლიყის მიწებებას ცდილობენ.

მისი ქვეყნის მოსაგუდად და დასაჩოქებლად წამოწყებულ ამ ვერაგულ პროექტშია ჩართული სააკაშვილი და ამისთვის მას ზემოთ ნახსენები სამი დიდი სახელმწიფოსგან (რუსეთი, თურქეთი, ირანი) სერიოზული მხარდაჭერა აქვს“.

ასეთი საგანგაშო ამბები გვიამბო ჩვენმა რესპონდენტმა, რომელმაც, როგორც ვთქვით, ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

საინტერესოა, იციან თუ არა იმ ბარიერგადალახულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებიც სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ დღის წესრიგს ემორჩილებიან და პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებენ, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ რა ბინძურ თამაშში არიან ჩართულნი? ვფიქრობთ, რომ იციან, თუმცა უკვე ისე შორს აქვთ შეტოპილი, რომ უკან გამოცურვის უფლებას მათ აღარავინ მისცემს.

„საერთო გაზეთი“

რეპლიკა



მელაშვილი და ილიჩოვა კი არ უნდა გაეთავისუფლებინათ, მათთვის სხვებიც უნდა მოესვათ გვერდით

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა გირაოთი გაათავისუფლეს.

მელაშვილი და ილიჩოვა კი არ უნდა გაეთავისუფლებინათ, მათთვის სხვებიც უნდა მოესვათ გვერდით.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ოპოზიციის დემაგოგიური განცხადებები, რომ ამ ორ ადამიანს, ამ ორ „უმწიკვლო“ და „უპატიოსნეს“ ინტელიგენტს, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის საქართველოს წინაშე. უფრო მეტიც — დანაშაულის ნიშნები გარეჯის

საკითხთან დაკავშირებით თურმე საერთოდ არ არსებობს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

თუ საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას, სააკაშვილის ხელმძღვანელობით და საზღვრის დამდგენი კომისიის წევრთა მონაწილეობით, საქართველოს საზიანოდ არანაირი დანაშაულებრივი ქმედება არ განუხორციელებიათ, თუ არანაირი შეთანხმება და გარიგება არ ყოფილა, მაშინ რატომ დგას ჩიჩხიტურის ქედზე აზერბაიჯანის სასაზღვრო ჯარი, რომელიც მკაცრად აკონტროლებს პერიმეტრს და ქართველ მომლოცველებს „საზღვარს“ იქით არ უშვებს?!

რატომ დგანან აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ზუსტად იმ სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, რომელიც ორი „პატრიოტის“, მელაშვილის და ილიჩოვას მიერ წარმოდგენილი რუკის მიხედვით არის გავლებული და რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიის ისტორიული ნაწილი ამჟამად უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება?

ახლა ისიც ვიკითხოთ, როდის აქეთ დგანან აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ამ ახლად „დადგენილ“ საზღვარზე — შემთხვევით მას შემდეგ ხომ არა, როცა საზღვრის დამდგენმა კომისიამ რატომღაც მელაშვილ-ილიჩოვას მიერ წარმოდგენილი რუკა მიიჩნია სამედო და უტყუარ დოკუმენტად.

მელაშვილი, ეს ნაციონალების კუდი და პირისფარეში, დღესაც პირდაპირ აცხადებს, რომ მაინცდამაინც ის რუკაა კარგი და გამართული, რომლითაც ქართული მხარის ინტერესები ზიანდება, ხოლო ის რუკა ცუდი და გაუმართავია, რომლითაც მტკიცდება, რომ ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც დღეს აზერბაიჯანის მხარესაა მოქცეული, საქართველოს ისტორიული კუთვნილებაა.

ამ განცხადებით მელაშვილმა, ფაქტობრივად, აღიარა დანაშაული და გათქვა საკუთარი თავი.

მელაშვილო, შე თვალთმაქცო, საერთოდ, როგორ ბედავ ამის თქმას და რა სინდისით და რა ნამუსით უსწორებ თვალს ქართველ ხალხს, თუ ქართველი ხალხი შენ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები და მიშას ეგზალტირებული ფანები გგონია?

ციხიდან გამოსვლის მეორე დღესვე მელაშვილმა პიარსვლა გააკეთა და დავით გარეჯს ესტუმრა.

რა ნახე იქ, მელაშვილო, ქედზე გამწკრივებული აზერბაიჯანელი ჯარისკაცები ხომ ნახე?

ჰოდა, შენი და შენისთანების გაკეთებულია ეგ საქმე, მელაშვილო და რამდენიც არ უნდა იუაროთ, რამდენიც არ უნდა იფარისევლოთ, არაფერი არ გამოგივათ — ადრე თუ გვიან პასუხისგება აუცილებლად მოგიწევთ.

„საერთო გაზეთი“

P.S. ამ მოკლე რეპლიკაში, როგორც ხედავთ, მელაშვილის „ნაპარნიცაზე“, ნატალია ილიჩოვაზე, არაფერი გვითქვამს. ან რა უნდა ვთქვათ ქალბატონზე, რომელიც საქართველოს საზღვრების დამდგენ კომისიაში კი მუშაობდა, მაგრამ ქართული არ იცოდა.

როგორც ამბობენ, ძირითადად, აი, ასეთი კადრებით (არაეთნიკური ქართველებით) იყო ეს კომისია დაკომპლექტებული, რაც, ცხადია, მრავლისმეტყველი საგანგაშო ფაქტია...

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲘᲮᲨᲘ

გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ:

— ბატონო ვახტანგ, რას გვეტყვით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით?

— დღეს საქართველოში უმაღლეს ფაზაშია შესული სამოქალაქო ომი, უფრო ზუსტად, საინფორმაციო, სამოქალაქო ომი, რომელშიც მთავარი ფიგურანტები არიან ე.წ. წითლები და თეთრები. თავად განსაკვეთ, „ქართული ოცნებაა“ არიან წითლები თუ „ნაცმოძრაობა“, მე ვიცი, რომ ვარ „მწვანე“.

ამ ფონზე გახსნილია საინფორმაციო შტურმი ტელევიზიებიდან. გებელსის ნაცისტური მესამე რაიხის ტელევიზიები არიან: „ფორმულა“, ტვ-1, „მთავარი“.

სტალინის და გებელსის პროპაგანდისტულ მანქანას ჰგავს დღეს ჩვენი ტელე-მედია.

მე ვალდებული ვარ, ვუყურო, თორემ ნამდვილად მიჭირს ამ ტელევიზიების ყურება, საიდანაც ამაზრზენი ინფორმაციები მოდის.

ეს არის აგიტაცია-პროპაგანდა, პირდაპირი გაგებით.

— რატომ მოხდა ასე?

— სამწუხაროდ, საქართველო იქცა დაბალი პოლიტიკური სისტემის ქვეყნად, აფრიკის პოლიტიკური სახელმწიფო მოდელის მსგავსი ვითარებაა დღეს ჩვენთან.

ფარისევლობამ „ქართული ოცნების“ მხრიდან, „ნაცმოძრაობის“ დაუსჯელობამ, მურუსიძის დაბრუნებამ, მერაბიშვილი თითქოს ვაჟკაცი რომ ყოფილა, ღირსეულად რომ მოუხდია ციხე და ა. შ. კოჰაბიტაციამ მოიტანა ის შედეგი, რომ დღეს ჩვენ ვართ კლასიკურ საინფორმაციო-სამოქალაქო ომში, ჩართულია სტალინის აგიტპრომი. უმძიმესი ვითარებაა ქვეყანაში, მაგრამ კიდევ კარგი, არსებობს თავისუფლების კუნძულები, მაგალითად, „უცნობის“ ტელევიზია, მაგრამ ბეჭდურ მედიაში უფრო მეტი თავისუფლებაა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ მედიის თავისუფლების ინდექსიდანაც ვიქნებოდით ჩამოწერილი. ამაში დიდი წვლილი აქვს „საერთო გაზეთს“, ბეჭდურ მედიაში არის სხვებიც. ამისთვის მადლობა მინდა ვუთხრა თქვენს რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას და პირადად თქვენ, ირანდა, რომ დგახართ სწორედ იმ გზაზე, რომელიც ადამიანის თავისუფლებას ემსახურება. ეს დიდი საქმეა, სხვათა შორის.

კიდევ ვიმეორებ, დანარჩენი ყველა, თითქოს წარღვნაა, ისეა წალეკილი მათში სიმართლის არსებობა, ამ პოლიტიკურ-სამოქალაქო ომში. დიახ, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, პოლიტიკურ-სამოქალაქო ომია გაჩაღებული ქვეყანაში. კიდევ კარგი, შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა ეს დაპირისპირება, თორემ მაშინ საბოლოოდ დაიქცეოდა საქართველო.

ამ ვითარებაში რომ ვართ, სამწუხაროდ, პოლიტიკური სპეკულაციების თემა გახდა დავით გარეჯის თემა საინფორმაციო ომის ინსტრუმენტის სახით.

— აზერბაიჯანული მხარე თითქმის არ რეაგირებს ამაზე.

— იმიტომ რომ, ეს მათთვის არის სასაცილო ამბავი. ისინი არც უყურებენ ამას სერიოზულად.

ჯერ ერთი, ერთი მხარეც და მეორეც საკითხისადმი აბსოლუტურ უცოდინარობას ამჟღავნებენ.

ჯერ ერთი, აზერბაიჯანულმა მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ ეს ორი ადამიანი რაღაცას იქ არასწორად აკეთებდნენ, რადგან, სანამ არ არის გავლებული საზღვრები, ეს ტერიტორია არ შეიძლება გაიყოს, არც ერთი და არც მეორე მხარის სასარგებლოდ. ეს არის, როგორც იტყვიან, სადაო ტერიტორია და სასამართლოთი უნდა დაამტკიცო ყველაფერი.

მაგრამ, საერთოდ, არც არავინ გვედავება არაფერს.

მოგეხსენებათ, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ვარ და შემიძლია თამამად გითხრათ: რაზეც დაობენ, ეს არ არის დავის მიზეზი.

აზერბაიჯანულ მხარეს არსად დაუწერია და არ უღიარებია ეს ტერიტორიები თავისად.

არც სახელმწიფო დონეზე განხილულა არაფერი.

თუ განიხილეს, გახსნან არქივები და დაამტკიცონ, სახელმწიფო კომისიის სხდომების დროს რაზე იყო საუბარი, რაზე მიდიოდა დებატები და ა. შ.

ამ დოკუმენტებს არ ამზეურებენ და აბრალებენ ადამიანებს აბსურდულ რამეებს, მე ყველა ადამიანი მეცოდება ციხისთვის, თავად გამოვიარე საკაშვილის საპატიმრო, მაგრამ, როცა ადამიანს აპატიმრებ უმძიმესი ბრალდებით და მერე გირაოთი უშვებ, ეს რა ლოგიკას ემსახურება, ვერ გავიგე.

2007 წელს გიგა ბოკერიას გეგმით, საქართველოს კონსტიტუციაში 307-ე მუხლი სამშობლოს ღალატის შესახებ ამოღებულია, გაუქმდა. ამიტომ ვერც სამშობლოს ღალატის კვალიფიკაციას მივცემთ მელაშვილის ქმედებებს და, მით უმეტეს, არც გმირია ეს ადამიანი. გიორგი მაზნიაშვილი იყო ეროვნული გმირი და მის გვერდით რომ აყენებენ ნაცები მელაშვილს, უკაცრავად და, ცოტა აზრი მოიკრიფონ.

საუბედუროდ, საქმე იქამდე მივიდა, რომ მორალურ-ეთიკურ ჩიხში აღმოვჩნდით.

პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჩიხში რომ ვართ, გასაგებია, ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი რომ არის, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მორალურ-ეთიკურ ჩიხშიც ვართ და ეს არის მთავარი უბედურება.

— ამ ვითარებაში ედროღანი კავკასიის პლატფორმის იდეას აყენებს.

— ეს პლატფორმა ემსახურება რეგიონალური ჰეგემონის ინტერესს, ცხადია, რუსეთს ვგულისხმობ.

მათ ეს გადმოიღეს აღმოსავლური მოდელიდან, სადაც თურქეთმა და ირანმა მშვენივრად განახორციელეს თავიანთი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები, რითაც ევროპა და ამერიკა განდევნეს რეგიონიდან და დღეს მათ გავლენებს ემორჩილება სიტუაცია სირიაში. ამ მოდელის კომპილირება მოხდა კავკასიის რეგიონზე.

აღნიშნული მოდელის განვითარება საქართველოს ინტერესების საზიანოდ ხდება.

საინტერესო ისაა, რომ საქართველოს მაგივრად პირდაპირ ლაპარაკობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაუშოღლუ. ჩვენ არც კი გვეკითხებიან არაფერს.

ლავროვმა კიდევაც განაცხადა, რომ საქართველო თანახმაა ამ მოდელის განხორციელებაზე.

საქართველოს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი კი ხმას არ იღებენ.

აქ რომ ყოფილიყო ამერიკა და ევროკავშირი, კი, ბატონო, კარგი ფორმულა იქნებოდა, მაგრამ ეს გახლავთ დაუბალანსებელი რეგიონული წყობის ფორმულა, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.

სამწუხაროდ, საქართველომ ვერ შეიმუშავა კავკასიური პოლიტიკა. ჩვენ, ელემენტარულად, აფხაზებთან და ოსებთან ვერ ვახერხებთ დაახლოებას, არ შევდივართ დიალოგში და არ გვაქვს ურთიერთობები და რეგიონულ ვითარებაში, რა გავლენებზეა, საერთოდ, საუბარი.

ჩვენ დღეს ვიმყოფებით ეროვნული უსაფრთხოების ჩიხში.

ეს ტერმინი მე შემოვიტანე 2018 წელს და არ მეგონა, რომ ორი წლის მერე ჩემს მიერ დანერგილი ეს დეფინიცია რეალურ კონტურებს მიიღებდა.

თავად ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი, ეს არის მდგომარეობა, რომლის შედეგადაც, ნებისმიერი სახის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლითაც ხელმძღვანელობს ქვეყნის მთავრობა, კიდევ უფრო ზრდის საფრთხეების მასშტაბებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

— პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა ხომ არ დაგვიდგა?

— ჩვენ, როგორც ყოველთვის, ყველგან ვაგვიანებთ.

პოლიტიკური პულსიდან ხელი გვაქვს აღებული.

ჩვენს წინაშე დგას ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც სახელმწიფო კრიზისში გადადის — ერთპარტიული პარლამენტი და ა. შ. სწორედ ამ პოლიტიკურ ბრძოლებს შეეწირა დავით გარეჯის თემა.

აზერბაიჯანმა გამარჯვებას მიაღწია ყარაბაღის ომში, ახლა აღლუმის პირობებში იმყოფება და ნაკლებად აქცევს ყურადღებას საქართველოში არსებულ სიტუაციას. დღეს მას საქართველოში მიმდინარე პროცესები არც აღელვებს და არც აინტერესებს, მაგრამ მოსალოდნელია, დადგეს დრო და გარეჯის საკითხი რეალურად წამოსწიოს აზერბაიჯანმა, თუმცა ჯერჯერობით მეგობრული პოზიცია უკავია და არ იმჩნევს, რაც ხდება დავით გარეჯთან დაკავშირებით.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ.

ზოგადად, სამოქალაქო ომის მთელი უბედურება ისაა, რომ ვერ არკვევ, ვინ ვინ არის. ასეთ მდგომარეობაშია დღეს საქართველო.

გასათვალისწინებელია, რომ 2016 წელს რუსეთის ხელმძღვანელობამ და თურქეთმა გაიფორმეს თავიანთი სტრატეგიული ინტერესები აღმოსავლეთში, ახლა იფორმებენ კავკასიაში.

— ამ მოცემულობაში საქართველოს რა მოელის, ბატონო ვახტანგ, დასავლეთი არ დადგება ჩვენს გვერდით?

— შეიძლება დასავლეთს და აშშ-ს ჰქონდეთ საქართველოს დახმარების სურვილი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება თუ გააგრძელებს პირში წყლის ჩაგუბებას და, როგორც „არაჩვეულებრივ გამოფენაშია“: ანგელინამ ცოტა უკანალი გაუქანოს პერის, მამაკაცია მაინცო — ჩვენს მაგივრად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არ ილაპარაკებენ.

— მათ აღარ სჭირდებათ დასაყრდენი კავკასიაში?

— ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ თუ საქართველოს თავისი პოზიცია ვერ გაურკვევია, მათ რა ჰქნან?

კი, ბატონო, ისინი გვთავაზობენ, დაგეხმარებით, თქვენს გვერდით ვართო, მაგრამ თუ ჩვენი მხარე ხმას არ ამოიღებს, რა გააკეთოს საერთაშორისო თანამეგობრობამ.

თუ ევროკავშირის სახელმწიფოები ჩაერთვებიან რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში, მათი ძალისხმევით, რუსეთის და თურქეთის ინტერესები გვერდზე გადაიწევს რეგიონში.

პოლონეთმა და აშშ-მა უკვე წამოაყენეს ე.წ. „სამი ზღვის ინიციატივა“, სადაც შედის ბალტიის, ადრიატიკისა და შავი ზღვის პროგრამა, რაც ითვალისწინებს ჩრდილოეთ და სამხრეთ დერეფნის მშენებლობას. ამ პროექტში უნდა ჩაჯდეს საქართველო. აშშ და პოლონეთი უნდა გახდნენ რეგიონული უსაფრთხოების აქტორები და აიძულონ თურქეთი და რუსეთი უკან გასწიონ თავიანთი ინტერესები.

აი, ამ სამი ზღვის ინიციატივის ფორმატში უნდა მოვხვდეთ და ამაში დახმარება დასავლეთს, აშშ-ს, პოლონეთს უნდა ვთხოვოთ, რათა გადავრჩეთ და ფუნქცია არ დავკარგოთ, თორემ, როგორც ზემოთაც გითხარით, სირაქლემას პოზიციაში დგომას თუ გავაგრძელებთ, მოვა „ლომი“, გადაყლაპავს ამ ტანს და თავი დაგვრჩება მიწაში ჩარგული.

ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ
593 56 11 18

რამდენი მილიარდერი და მილიონერი ჰყავს საქართველოს?

იცით, რამდენი მილიარდერი და მილიონერი ჰყავს საქართველოს? მოდით, ცოტა სხვანაირად ვთქვათ... იცით, რამდენი ქართველი მილიარდერი და მილიონერი არსებობს ამ დუნიაზე, ანუ დედამიწაზე? შარშანდელი მონაცემების თანახმად, 488 იყო. მართალია, წლევანდელი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ გული მიგრძნობს, 500-მდე იქნება. საინტერესოა, ვინ არიან ისინი? ამჟამად სახელ-გვარებით უნდა ჩამოგითვალოთ ქართველი და საქართველოსთან დაკავშირებული მილიონერები. რატომ ვაკეთებ ამას, სტატიის ბოლოს გაგიმხელთ.

ბიძინა ივანიშვილი – როდესაც პოლიტიკაში მოვიდა (2012 წელს), მისი ქონება 8 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ამ ეტაპზე, როგორც ამბობენ, 5 მილიარდია. ამ მაგარ ქველმოქმედზეც ბოლოს მოგახსენებთ.

შემდეგი... თურგაი ჯინერი (თურქეთი) – 7 მილიარდი, ტარიელ ვასაძე (უკრაინა) – 5 მილიარდი, ნიჰათ გოგეითი (გოგიტიძე) თურქეთი – 4 მილიარდი, ისმათ აჯარი (თურქეთი) – 3 მილირდი, თემურ სეფიაშვილი (აშშ) – 3 მილიარდი, დავით იაკობაშვილი (რუსეთი) – 3 მილიარდი, თენგიზ არშბა (რუსეთი) – 2,5 მილიარდი, ზურაბ წერეთელი (რუსეთი) – 2 მილიარდი, დავით ჟვანია (უკრაინა) –1 მილიარდი, ასლან აბაშიძე (რუსეთი) – 1 მილიარდი, გია ჯოხთაბერიძე (საქართველო) – 1 მილარდი, ანზორ კიკალიშვილი (რუსეთი) –1 მილიარდი, სოსო ორჯონიკიძე (რუსეთი) – 1 მილიარდი, ვასილ ბაღდავაძე (რუსეთი) – 1 მილიარდი, თამაზ სომხიშვილი (რუსეთი) – 700 მილიონი, აბრამ ნანიკაშვილი (ისრაელი) – 700 მილიონი, დავით ბეჟუაშვილი (საქართველო) – 600 მილიონი, ვიკა გელოვანი (რუსეთი) – 500 მილიონი, შოთა ბოთერაშვილი (რუსეთი) – 500 მილიონი, ბუთა ელიავა (რუსეთი) – 500 მილიონი, ლევან ვასაძე (იყო რუსეთში, არის საქართველში) – 500 მილიონი, რომან ფიფია (იყო რუსეთში, არის საქართველოში) – 500 მილიონი, თემურ ქარჩავა (რუსეთი) – 500 მილიონი, ბადრი კაკაბაძე (რუსეთი) – 500 მილიონი, მიხეილ მირელაშვილი (რუსეთი) – 500 მილიონი, ტარიელ ონიანი (ესპანეთი) – 400 მილიონი, მამუკა ხაზარაძე (საქართველო) – 400 მილიონი, ალექსანდრე ებრალიძე (რუსეთი) – 300 მილიონი, პანტიკო თორდია (საქართველო) – 250 მილიონი, ირაკლი ოქრუაშვილი (საქართველო) – 250 მილიონი, ქიბარ ხალვაში (საქართველო) – 200 მილიონი, თემურ ჭყონია (საქართველო) – 200 მილიონი, გიორგი რამიშვილი (საქართველო) – 200 მილიონი, ვალერი მელაძე (რუსეთი) – 200 მოლიონი, სანდრო მეჟევიძე (საქართველო) – 160 მილიონი, კახა ოქრიაშვილი (საქართველო) – 150 მილიონი, ზაზა ოქუაშვილი (საქართველო) – 100 მილიონი, პაატა კურტანიძე (საქართველო) –100 მილიონი, ზურაბ კინიხაძე (რუსეთი) –100 მილიონი, ლევან და სოსო ფხაკაძეები (საქართველო) –100 მილიონი, ვალერი გელაშვილი (საქართველო) –100 მილიონი, რომან ცხვირაშვილი (აშშ) – 100 მილიონი, გოჩა ძასოხოვი (საქართველო) – 100 მილიონი, ვანო ჩხარტიშვილი (საქართველო) – 100 მილიონი, ფრიდონ ინჯია (საქართველო) – 100 მილიონი, ზურაბ ნოღაიდელი (საქართველო) – 75 მილიონი, ზაზა ნიშნიანიძე (საქართველო) –70 მილიონი, ლაურა ღაჭავა (საქართველო) – 60 მილიონი, თემურ უგულავა (საქართველო) – 60 მილიონი, გოგი თოფაძე (საქართველო) – 50 მილიონი, კოტე გოგელია (რუსეთი) – 50 მილიონი, ნუგზარ შევარდნაძე (საქართველ) – 50 მილიონი, ლაშა პაპაშვილი (საქართველო) – 50 მილიონი, ილო მოსიაშვილი (ისრაელი) – 50 მილიონი, გოგი ლიპარტელიანი (საქართველო) – 50 მილიონი, ელგუჯა ბუბუტეიშვილი (საქართველო) – 40 მილიონი, თამაზ გაიაშვილი (საქართველო) – 40 მილიონი, კახი კალაძე (საქართველო) – 40 მილიონი, გია შერაძე (საქართველო) – 30 მილიონი, ლევან პირველი (ავსტრია) – 22 მილიონი, აკაკი ჩხაიძე (საქართველო) – 20 მილიონი, ავთანდილ წერეთელი (საქართველო) – 20 მილიონი, გურამ ახვლედიანი (საქართველო) – 20 მილიონი, ნიკა ჩიქოვანი (საქართველო) – 20 მილიონი, ავთანდილ ჯორბენაძე (საქართველო) – 20 მილიონი, მელორ ტყეშელაშვილი (საქართველო) – 20 მილიონი, ჯემალ ინაიშვილი (საქართველო) – 20 მილიონი, თემურ აფსაძე (ავსტრია) – 20 მილიონი, არჩილ გეგენავა (საქართველო) – 15 მილიონი, ირაკლი იაშვილი (საქართველო) – 15 მილიონი, ზაზა სიორიძე (საქართველო) –10 მილიონი, ალეკო გოცირიძე (საქართველო) –10 მილიონი, ნიკო ლეკიშვილი (საქართველო) – 10 მილიონი, ლევან გაჩეჩილაძე (საქართველო) – 10 მილიონი, ივლიანე წულაია (საქართველო) – 5 მილიონი, თამაზ ნავერიანი (საქართველო) – 3 მილიონი, კობა ნარჩემაშვილი (საქართველო) – 7 მილიონი, აკაკი ბობოხიძე (საქართველო) – 1 მილიონი, დავით პანიკაშვილი (რუსეთი) – 570 მილიონი, სერგო რატიანი (საქართველო) – 1 მილიონი, იოსებ მაკრახიძე (საქართველო) – 12 მილიონი, ელგუჯა გოცირიძე (საქართველო) – 6 მილიონი, გოჩა ენუქიძე (საქართველო) – 5 მილიონი, ქეთი მელუა (დიდი ბრიტანეთი) – 12 მილიონი ფუნტი სტერლინგი, პაატა გამგონეიშვილი (რუსეთი) – 290 მილიონი, შოთა შალელაშვილი (საქართველო) – 34 მილიონი, ლევან კობიაშვილი (საქართველო) – 9 მილიონი, დავით ჭიჭინაძე (საქართველო) – 4 მილიონი, რევაზ არველაძე (საქართველო) – 3 მილიონი, ტარიელ ხეჩიკაშვილი (საქართველო) – 11 მილიონი,

კობა ნაყოფია (საქართველო) – 8 მილიონი, ვიაჩესლავ მირილაშვილი (რუსეთი) – 900 მილიონი.

მეგობრებო, ყველას ვერ ჩამოვთვლი... იმისთვის, რომ თემა კარგად გავშალო და ჩემი საწუხარი გადმოგცეთ, ესეც საკმარისია. არჩამოთვლის მიზეზი კიდევ ის არის, რომ ფაქტობრივად სრული და ასი პროცენტით დაზუსტებული სია არ არსებობს, რასაც გთავაზობთ, ეს დადასტურებულია, წვეთი არ გაუვა, დანარჩენები გაფანტულნი არიან მსოფლიო მასშტაბით – ზოგი უარყოფს, ზოგი იმალება, ზოგი უბრალოდ ოფშორებშია გაკვეხებული და ვერც დაუმტკიცებ.

ჰო, აი, კინაღამ გამომრჩა... დავით კეზერაშვილი, რომელიც აგვისტოს ომის დღეებში მილიარდერი გახდა. არადა, ტიპი, სანამ ფინანსურ პოლიციას ჩაუგდებდნენ ხელში, სანამ გაამინისტრებდნენ, სააკაშვილის პლაკატებს დაარბენინებდა. პრინციპში, პრესტიჟული უბანი ებარა, რუსთაველზე და მთაწმინდის მიდამოებში აკრავდა ხოლმე.

დარწმუნებული ვარ, ამ სიაში დაფიქსირებული თანხები ამ დროისთვის უფრო მომატებული იქნება, ჯერ კიდევ ძველები ამბობდნენ ხოლმე, ფულს ფული მოაქვსო, ფულით ფული მრავლდებაო და ეს ყველაზე უკეთესად ამ ადამიანებმა იციან. ერთადერთი, ვისი ქონებაც წლების განმავლობაში შემცირდა, ბიძინა ივანიშვილია. ნეტავ რატომ? იმიტომ, რომ ხარჯავს, საქმეს აკეთებს, საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

ამ სიაში არიან ადამიანები, რომლებიც ასევე, შეიძლება ივანიშვილთან შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც ხარჯავენ თავიანთ მონაგარს – მაგალითად, კახა კალაძე, გოგი თოფაძე და... აი, მეტს ვერავის ვიხსენებ!

დიახ, მართლა ვერ ვიხსენებ და ამავე დროს ამოცანა გვეკითხება: თქვე კაი ხალხო, საქართველოს მოსახლეობავ, მოქალაქეებო, თუ 3-მილიონიან ქვეყანაში 488 მილიარდერ-მილიონერი გყავთ, რატომ შესტირით, რატომ ავალდებულებთ ბიძინა ივანიშვილს და რატომ ითხოვთ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისგან?!

ივანიშვილი 1990-იანი წლებიდან ე.წ. სტიპენდიას აძლევდა და აძლევს კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის მოღვაწეებს. ბევრი მათგანი დიდი სიამოვნებით იღებს ივანიშვილისგან ყოველთვიურად 1000, 1500, 2000, 3000, 5000 ლარს და ამავე დროს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს იგივე ბიძინა ივანიშვილს. პარადოქსია, არა? მაგალითად, გიგა ბოკერიას დედა, ნანა ალექსანდრია ყოველთვიურად ბიძინასგან იღებს 1000 ლარს, ამავე დროს ის ამტკიცებს, რომ იგივე ბიძინა არის დიქტატორი, ამ ქვეყნის დამაქცევარი და აუცილებლად უნდა წავიდეს, გაქრეს.

აქ ამოცანა სვამს შემდეგ შეკითხვას: თუ ბიძინა გაქრება, წავა, ნანა ალექსანდრია ხომ ვეღარ მიიღებს ყოველთვიურად 1000 ლარს? ჰმ... ბოკერიებს ფეხებზეც არა ჰკიდიათ, ეგენიც მულტიმილიონერები არიან, სამშენებლო ბიზნესში აქვთ ფესვები გადგმული. აი, ნახეთ ამათი ზნეობა... თვითონ მილიონერები არიან, მაგრამ იმდენად წუპაკობენ, რომ ბიძინას ფულზე მაინც არ ამბობენ უარს.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც დავწერე და გავიმეორებ: ბოკერიების მსგავს სიტუაციაში იყო აწ გარდაცვლილი ჯულიეტა ვაშაყმაძე, მასაც უხდიდა ბატონი ბიძინა ყოველთვიურად 1000 ლარს, მაგრამ მისი გაზრდილი ღორი, თითქოს შვილად რომ იწოდებოდა, დედას აგინებდა მაშინ, ჯერ დაკრძალულიც რომ არ ჰყავდა.

ასეთები ბევრნი არიან, მაგრამ ამჯერად სხვა თემაზე ვსაუბრობ... იმ ადამიანებზე, რომლებსაც შეიძლება ივანიშვილზე მეტი ფულიც აქვთ, მაგრამ ერთ თეთრსაც არ ხარჯავენ. წარმოგიდგენიათ? ვინც არაფერს აკეთებს, ვინც არაფერს ხარჯავს, ვინც აუტკივარ თავს საერთოდ არ იტკივებს, მას უფრო პატივისცემით ვეპყრობით. ნახეთ, რა მაგარი მაგალითი ჩამივარდა ხელში, სანამ ამ წერილის ფინალში გავიდოდი, ერთ-ერთი ინტერნეტფორმატით გავიდა რუსეთში მოღვაწე მილიარდერისა თუ მილიონერის (3 მილიარდი აქვს), დავით იაკობაშვილის ინტერვიუ. ბიზნესმენის წარდგენისას ინტერვიუს ავტორი ამბობს, რომ ის საზღვარგარეთ მოღვაწეობს, რუსეთი რომ თქვას, უტყდება, სიმონ!

ჰოდა, თურმე, დავით იაკობაშვილი ძაან მაგარი კაცია, რადგან წელიწადში სამ-ოთხჯერ ჩამოდის საქართველოში და არ დაიჯერებთ, თურმე ჩვენი ქვეყანა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ყოფილა. აი, რას ამბობს ბატონი დავითი:

“პირველად რიყის ამბავზე ჩამოვედი, რაღაცის გაკეთება მინდოდა თავის დროზე, მერე კრიზისი იყო და სამწუხაროდ ვერ გამოვიდა. ახლა ნავთობის ბიზნესში ვმუშაობთ. მის ქსელსა და ნავთობის მომარაგებაში და საკმაოდ ბევრი ადამიანი მუშაობს ჩვენთან და იაკობაშვილი ამბობს, რომ მას საქართველოში სოციალური პროექტის გაკეთების იდეაც აქვს. კერძოდ, საუბარია მუზეუმზე, სადაც განთავსდება უნიკალური მუსიკალური ინსტრუმენტები.

“უკვე შევისყიდე და მაქვს შვეიცარიაში ორღანები, როიალები, პიანინოები, რაც საინტერესო იქნება საქართველოში. ხალხი მოვა და გაიგებს მუსიკას!“

მუსიკალური ინსტრუმენტები ვჭამოთ, დათო ძიაااااავ... ჰა, ინსტრუმენტები, კაცო?! ისე, როგორც ჩანს, ბატონი იაკობაშვილი კარგად ვერ ერკვევა ქართულ ყოფასა და ცხოვრებაში, მაგას ჰგონია, მუზეუმს რომ გახსნის, მივცვივდებით, მუსიკალურ ინსტრუმენტებს ვნახავთ და გადავირევით. ნეტავ რა ინსტრუმენტი უნდა იყოს დედამიწის ზურგზე, ქართველებმა რომ არ ვიცოდეთ?

არა, ის მაინც მაგარი ქველმოქმედებაა, “გალფის” ბენზინზე ეკოლოგიურ დანამატს რომ ამატებენ და გამონაბოლქვი შედარებით უვნებელი ხდება. განა ამის დაუნახაობა შეიძლება? არ შეიძლება და ვხედავთ კიდევაც... განა სადმე ყური მოგიკრავთ, რომელიმე ქართველი ან საქართველოს მოქალაქე დავით იაკობაშვილს აგინებდეს? არა, ხალხო, 488 მილიარდერსა თუ მილიონერს ჩვენ არაფერს ვთხოვთ, არც ვამუნათებთ, არც ვლანძღავთ, არც ვემუქრებთ... ისინიც არიან წყნარად, მშვიდად, არც თავებს იტკიებენ და არც სხვა რომელიმე ორგანოს. რა ძალა ადგიათ? პირიქით, ესენიც მიადგებიან ხოლმე ივანიშვილს და მუშტებს უქნევენ. აგერ, კაკო ბობოხიძეც მილიონერი ყოფილა და სერგო რატიანიც, სადმე ამათგან ერთი ხე გინახავთ დარგული? ერთი მშიერი ადამიანი გინახავთ დაპურებული?

თუმცა... აი, გეგონება ჩაწყობილი ამბავიაო, ამ წერილის დამთავრებას ვაპირებდი, როცა ინტერნეტსივრცეში მეხივით გავარდა ინფორმაცია პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ქველმოქმედების თაობაზედ. ის თავად წერს ასეთ გულისამაჩუყებელ რაღაცას: “სანამ პარლამენტის წევრის ხელფასი მაქვს ამ მოწვევის პარლამენტში, მთელ ხელფასს დავხარჯავ ქველმოქმედებაში. გლდანის რაიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ვეხმარებით, გვაქვს სხვა პროექტებიც, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებთ, მათ შორის – მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად”.

ახლავე აგიხსნით, რაშია საქმე... ესე იგი, ჩვენ ხომ ვიცით, ე.წ. ოპოზიცია პარლამენტში რომ არ შევიდა, ხომ? ვიცით. ჰოდა, ეს წუპაკები სრადიან გაუგონარ რამეს – ხელფასებს მაინც იღებენ, თითო-ოროლა კილო ხახვსა და კარტოფილს ყიდულობენ, გაჭირვებულ ოჯახებში მიაქვთ, სურათებს იღებენ და “მარიაჟობენ”, ნახეთ, ბიძინამ დაგაქციათ, ბიძინამ მოგამშიათ, ჩვენ კი გაპურებთო.

ჰა, ჰა, ჰა... ხალხო, დავით ბაქრაძე იანვრის თვის სადეპუტატო ხელფასით გლდანში გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარაო, იტყობინებიან საგანგებოდ. ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში რომ ეხმარება გაჭირვებულებსა და ავადმყოფებს, ეგ არაფერია, ეგ არ ითვლება, ეგ მტრობაა, ცუდია.

ამ თემაზე უახლოეს ხანში კიდევ დავწერ... მაქვს სურვილი, სათითაოდ დავურეკო ან მივწერო ყველა მილიარდერსა თუ მილიონერს და ვკითხო: გამარჯობა, მეგობარო, იქნებ შენ ძალიან ბევრს აკეთებ ამ ქვეყნისთვის და ჩვენ არ ვიცით? მოდი, მითხარი, მაჩვენე, ხომ გინდა, ტაში დაგიკრა? გინდა, ნამდვილად გინდა. ერთი წუთით შევეშვათ ბიძინა ივანიშვილს, ნუ ვთხოვთ ყველაფრის აშენებას, ყველა საკითხის მოგვარებას, ყველას დაპურებას, ეგრე არ გამოვა, ერთ ადამიანს ფინანსური შესაძლებლობა რომც ჰქონდეს, გონებრივად და ფიზიკურად ყველაფერს მაინც ვერ გასწვდება, შეუძლებელია. ასე რომ, გაგრძელება იქნება.

P.S. ამას წინებზე შალიკო ნათელაშვილი გამოვიდა ტელევიზორში, ინგა გრიგოლიასთან იჯდა და ამტკიცებდა, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, ეგ ქველმოქმედება კი არა, ბოროტებაა. იცით, ნამდვილი ქველმოქმედება რა არიო? აი, სადღაც მივარდნილ სოფელში რომ ჩახვალ, პატარა ეკლესიაში ახლად ჯვარდაწერილ ახალგაზრდებს რომ გადაეყრები და ჯიბეში 100-დოლარს ჩაუჭყუნავო. მე პირადად ასეთი რაღაცა გამიკეთებიაო.

ჰა, ჰა, ჰა... ტაში, კუკური!

სხვათა შორის, ამბობენ, შალიკოც მილიონერიაო.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ბიძინა ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან მაფიქრებინებს, რომ მას თავისი გუნდისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს

გვესაუბრება „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია:

— ბატონო ჯონდი ბოლო ხანებში საერთოდ აღარ ჩანხართ. რამდენი ხმა მიიღეთ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და რატომ ვერ მოხვდა იქ ის კონტიგენტი, რომელსაც თქვენ მიეკუთვნებით?

— იმიტომ არ ვჩანვართ, რომ მთლიანად ვართ დაბლოკილები არა მარტო მე, არამედ ის პოლიტიკური სპექტრი, რომელიც კონსერვატიულ, ტრადიციული ღირებულებებს სცემს პატივს. თეატრალიზებული ისტერიკაა, რაც „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას. ქართული მედია ტოტალურად კონტროლდება ორივე მხრიდან, მხოლოდ ერთ ტელეკომპანიაში ჟღერდება ჩვენი აზრი, მხოლოდ ერთი ტელევიზის მეშვეობით კი, ვერ ვახერხებთ პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენას. მიკერძოებული მედიაგარემოა სერიოზული პრობლემა. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ავიღეთ დაახლოებით 32.000 ხმა, მაგრამ მოპარული იქნა ჩვენი საარჩევნო ბიულეტენები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დაბლოკილ ვითარებაში მოგვიწია არჩევნების ჩატარება, 1,5% გვქონდა, შეიძლება ცოტა მეტიც, მინიმუმ ორი მანდატი გვეკუთვნოდა. ხმები დაუწერეს ვიღაც-ვიღაცებს, იმ ხალხს პარლამენტში ვისი შეყვანაც უნდოდათ. ამიტომ არ ვართ პარლამენტში. მხარდამჭერები ღვთის წყალობით და ჩვენი დამსახურებითაც შემოგვრჩა, რესურსი ჯერ კიდევ გვაქვს და ამან იმუშავა, თორემ ძალზე უსამართლოდ იქცეოდა ქართული მედია, ძირითადად „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაზე მუშაობდნენ. ჩვენ არსებულ ვითარებაში ცოტა ხმები არ აგვიღია იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ არჩევნებში სულ 1300 ლარი გვაქვს დახარჯული. ვის გადაუნაწილეს მოპარული ხმები, ეგ მაგათ უნდა კითხოთ, თუ მოსაზრების დონეზე გაინტერესებთ ჩემი პოზიცია, 4000-მდე საარჩევნო უბანია და ყველა უბანზე წარმოდგენილი იყო „ქართული ოცნების“, ნაცმოძრაობის და მისი „გამონაყოფის“ კომისიის წევრები. მათ მოაწერეს ხელი საარჩევნო ოქმებზე და გაიყვეს ხმები. ჩვენ არ გვყავდა კომისიის წევრები. ამ სამ პარტიას ყავდა კომისიის წევრები, რადგან 3800-ე უბანზე სამივე პარტიამ მოაწერა ხელი ოქმებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხმებს თვითონ იყოფდნენ.

- რატომ დაგიპირისპირდათ „ქართული ოცნება“, როდესაც ყოველთვის მათ მომხრედ მოიაზრებოდით და რამდენადაც მახსოვს, წინასაარჩევნოდაც აქტიურად იდექით მათ მხარეს? თქვენი აზრით, ვის აწყობდა თქვენი გარიყვა?

— მე „ქართული ოცნების“ მომხრე, 2012 წელს ვიყავი, მაგრამ მმართველი პარტია „ნაციონალებთან“ უფრო კარგად, კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე ჩვენთან. ვინ იყო მმართველი პარტიიდან დაინტერესებული, რომ ჩვენ პარლამენტში არ შევსულიყავით არ ვიცი, ასე სახელებითა და გვარებით ლაპარაკი, რა თქმა უნდა რთულია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ იმ ლიდერშიფმა, რომელიც ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ შეიკრიბა, იგი დაარწმუნა, რომ თავად ქონდათ უნარი ასი მანდატი მიეღოთ, რაც შეუძლებელი იყო. „ქართულ ოცნებას“ შეეძლო სიტყვაზე 52, 55 მანდატი მიეღო პროპორციული სიით, მაგრამ მათ ასი მანდატი მოინდომეს, ამის სამართლიანად აღება შეუძლებელია, ვისაც ხმები აქვს და კომისიის წევრი არ ჰყავს. ასეთი ვიყავით ჩვენ და ალბათ სხვა პარტიებიც.

— ბატონო ჯონდი, რატომ უნდა დაჭირვებოდა „ქართულ ოცნებას“ ასეთი მანიპულაციები, როდესაც მას უზარმაზარი ნდობა და მხარდაჭერა ჰქონდა მოსახლეობისგან? გავიხსენოთ, როგორ შეჰქონდა ხალხს უკანაკნელი თეთრები „ქართუ ბანკში“, როცა ნაცებმა მისი გაკოტრება გადაწყვიტეს.

— გეთანხმებით, „ქართულ ოცნებას“ მართლაც დიდი ნდობა ჰქონდა 2012 წელს, მაგრამ ეს ნდობა გაცვდა. ჩემი აზრით, პირველ რიგში ხალხის მხრიდან მმართველი პარტიისადმი უნდობლობა გამოიწვია, ნაცმოძრაობისადმი მათმა დამოკიდებულებამ. ხალხმა თავიდან გულწრფელად დაიჯერა, რომ ისინი ებრძოდნენ იმ ბოროტ ძალას, რასაც ნაცმოძრაობა ჰქვია, მერე აღმოჩნდა, რომ ისინი კაბიტაციაში არიან ერთმანეთთან. როცა საქმე საქმეზე მიდგა, სამართლიანობის აღდგენის საკითხი დადგა, მაგალითისთვის, ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ნაცმოძრაობის, ამ კრიმინალური ბანდის მიერ ნაძარცვი და ნაყაჩაღარი ქონების დაბრუნება. ქონების დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან იყო ნაქურდალი, კიდევ უფრო დიდი ნაწილი კი, ხალხისგან. იმის ნაცვლად, რომ სამართლიანობა აღდგენილიყო, „ნაციონალებს“ ნაქურდალი შეარჩინეს. ამიტომაც დაკარგა „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლის ნდობა.

ამ არჩევნებზე, ძირითადად, ეროვნული პლატფორმის მქონე პარტიები დაზარალდნენ. თავის სატელიტ პარტიებს, თავის მასხარებს გაუყვეს ჩვენგან წაღებული ხმები. ეს ის პარტიებია, რომლებსაც თვითონ აფინანსებენ, ეს „გირჩი“ და ასეთი პარტიები, იმიტომაც არიან მათი შესვლა-არშესვლით აღშფოთებულნი და გვაქვს ის სამწუხარო ვითარება, რაც გვაქვს.

ეს ხელისუფლებისგან დაფინანსებულნი აუცილებლად შევლენ პარლამენტში, ერთგვარი რიტუალია, თორემ თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, კიდევ სამი პარტია შევიდოდა, რომლებსაც ისინი აფინანსებდნენ. მმართველი პარტია წლების განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობდა პოლიტიკურ ასპარეზზე ველი მოესუფთავებინა, ნაციონალური მოძრაობის გარდა არავინ დარჩენილიყო ოპონენტად. რომ მკითხეთ, ხომ არ დაარწმუნეს ბიძინა ივანიშვილი, რომ არ ჭირდებოდათ „ქართული დასი“ და სხვა კონსერვატიული პარტიები, ისედაც გაიმარჯვებდნენ, მაგის პასუხიცაა — დაარწმუნეს ბატონი ბიძინა, რომ შეეძლოთ ასი მანდატის აღება, მაგრამ რეალობა სხვა აღმოჩნდა. მე ჩემი 32.000 ხმის დათვლა სულაც არ დამეწყო, რახან ბარიერი 1% იყო, აზრი ჰქონდა ამ დათვლას და აღმოჩნდა, რომ 1,5% გვქონდა აღებული. ამ დაბალმა ბარიერმა, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო თავის დროზე, თავისთავად გაამწვავა სიტუაცია და ხელი შეუწყო პოლიტიკური კრიზისის შექმნას. რამდენი პოლიტიკური დაპირისპირება ყოფილა ხომ, ხელისუფლებასა და რადიკალური ოპოზიციის შუაში ყოველთვის იყო უფრო ზომიერად განწყობილი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები. „ქართულმა ოცნებამ“ ასე ვთქვათ, იჩალიჩა, რომ მარტო ყოფილიყო, მოკავშირე არ ჰყოლოდა, გარდა იმ რამდენიმე მასხარისა, რომლებიც ახლა კი ცდილობენ თავი წარმოაჩინონ, ვითომ მმართველი პარტიის მოკავშირე არ არიან, მაგრამ ყველა ხვდება, რომ მათი მოკავშირეა. ეს მასხარები შევლენ პარლამენტში, რითაც ეს პარლამენტი კიდევ უფრო კურიოზული გახდება, ვიდრე იყო.

— 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც უთხრეს ბიძინა ივანიშვილს გავიმარჯვეთო, იზეიმეს და აღმოჩნდა, რომ ხმები არ იყო საკმარისი. იგივე მოხდა 2020 წლის არჩევნებში. ამან ხომ არ აიძულა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასულიყო?

— ეს ყველაფერი იმ ასი მანდატის თემაა, რაშიც როგორც უკვე გითხარით დაარწმუნეს ბიძინა ივანიშვილი, რომ სხვების გარეშე შეეძლოთ მიეღოთ. ერთი წლის წინ მოხდა 1%-იანი ბარიერის დაშვება.

იყო მოსაზრება, რომ ერთგვარი კოალიციური მთავრობისკენ წავსულიყავით. თავიდან ამ თემაზე კომენტარებს რომ ვაკეთებდი, არ გამოვრიცხავდი „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციას, რაც იქნებოდა ძალიან ნორმალური, ზომიერი გზა, მაგრამ ვიმეორებ, ეტყობა, ზემოთ მოახსენეს ბიძინა ივანიშვილს, აშკარად ჩანს, რომ იგი დაარწმუნა ლიდერშიფმა, რომ არ იყო საჭირო თანამშრომლობა ზოგიერთ პარტიასთან. უფრო ადვილია ფონს გასვლა ასეთი „მასხარებით“, დასავლეთსაც უფრო ადვილად მოაწონებდნენ თავს, მთლიანად ლიბერალური პარტიები ვართ ხელისუფლებაში იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 80% კონსერვატორია. მერე რა, რომ ამით კმაყოფილი არ იქნებოდა საქართველოს მოსახლეობა, მთავარია, კმაყოფილი იქნებოდა კოლექტიური დასავლეთი ხომ? ჰოდა, წავიდნენ ამ გზით, რასაც თავადაც კარგად ხედავთ. ბიძინა ივანიშვილი დიდად კმაყოფილი რომ არ არის შექმნილი ვითარებით, ეს ხომ ჩანს. კაცი წავიდა „ქართული ოცნებიდან“. მე მგონი, ეს იმიტომ გააკეთა, რომ ამ პროექტმა, რასაც ერქვა „ქართული ოცნება“, დაასრულა თავისი არსებობა. ბიძინა ივანიშვილიმა როცა ნახა, რომ ამათ ამოწურეს თავიანთი თავი, მათგან აღარაფერი გამოვა, მიატოვა თავისი შექმნილი პარტია და წავიდა. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან კი არ წასულა, „ქართული ოცნებიდან“ წავიდა. როგორც ვხედები, თავად ბიძინას თავის გუნდისგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა. ეს იყო დაახლოებით წელიწადნახევრის-ორი წლის წინ, მაგრამ ბოლო ერთი წელი, ის ფორმატი, რომელიც სხვანაირად უნდა ყოფილიყო, შეიცვალა და წამოვიდა ის ფორმატი, რაც ჩვენ ვნახეთ. ბიძინა ივანიშვილი თვითონაც მიხვდა, რომ ამათთან (მმართველი პარტიის ლიდერშიფი) თანამშრომლობას აზრი არ აქვს და მიატოვა „ქართული ოცნება“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ამბავი „მანგუსტას“ და უნასის შერკინებისა

ქართული ტელევიზიებიდან მუდმივად მომდინარე ბოღმისა და სიბინძურის ღვარცოფმა საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ხალხმა ერთმანეთს უკვე საყოფაცხოვრებო ნარჩენებით სავსე ნაგვის ვედროების თავზე ჩამოცმა დაუწყო.

ამ ფაქტს, შეიძლება, ერთი შეხედვით არასასიამოვნო ინციდენტი დაარქვას ვინმემ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ არასასიამოვნო ინციდენტი. ეს არის რაღაც ძალიან ცუდის დასაწყისი (თუ გაგრძელება?!), რაც ჩვენს საზოგადოებას, სავარაუდოდ, საბოლოოდ დასცემს და „გააფარჩაკებს“.

ჩვენს წინაშე იბადება მასა, როგორც მონსტრი, ყოველგვარი საზოგადოებრივი ნორმისგან და სუბორდინაციისგან დაცლილი, სადაც არ რჩება ადგილი თუნდაც უბრალო, ელემენტარული ზრდილობისთვის.

წარმოუდგენელია, მაგრამ ამ პროცესისადმი პროტესტი თამარ ჩერგოლეიშვილმა გამოხატა. ქალბატონმა, რომელიც ამ საშინელებების მამამთავრის — მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლი იყო წლების განმავლობაში.

ერთ სატელევიზიო არხზე ქართველი ჟურნალისტები — თამარ ჩერგოლეიშვილი და ელისო კილაძე ისე „შეიბნენ“, ზანზარი გაჰქონდა სტუდიას.

გამახსენდა: „ამირან დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა ზრიალიო“, მაგრამ აქ ამირანის და დევის კი არა, „მანგუსტას“ და უნასის შერკინება ვნახეთ, თუმცა სანახაობაზე მეტად გასაოცარი თამარ ჩერგოლეიშვილის პოზიცია იყო, ნაგვის თავზე დაყრას რომ აპროტესტებდა და ჩავლეიშვილის ღირსებას რომ იცავდა თავგამოდებული.

ნახეთ ფრაგმენტები ამ „ორთაბრძოლიდან“:

თამარ ჩერგოლეიშვილი: 2016 წლამდე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ვიყავი და ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვიღებ მაგათ წილ უპასუხისმგებლობებზე.

„ჩვენ ღირსება წაგვართვეს!“ — ამ ლოზუნგზე იდგა სააკაშვილის წინააღმდეგ მოძრაობა.

...2010 წელს მე გავაკეთე „ტაბულა“. თქვენ შეგიძლიათ აიღოთ, წაიკითხოთ და რამდენ კრიტიკულ სტატიასაც ნახავთ და რამდენჯერაც მე ვანო მერაბიშვილი და ადეიშვილი დამმუქრებია — თუ არ შეგვეშვები, დაფინანსების წყაროს გადაგიკეტავთო...

ჩემი ნაწერი უნდა იკითხოთ. მე რისიც მჯერა, აქედან ვერავინ ვერ გადამახვევინებს — ვერც ადეიშვილი, ვერც სააკაშვილი, ვერც ბიძინა ივანიშვილი.

ჩემზეც იყო ზეწოლები, რადგან კრიტიკა არავის უყვარს.

ჩემი 5000-ტირაჟიანი ჟურნალი შეიძლება ბევრს ვერაფერს აკეთებდა, მაგრამ კლიმატს აფუჭებდა იმ კუთხით, რომ თუ მე შემეძლო კრიტიკა, სხვებსაც მოუნდებოდათ.

... ღირსება აქვს ყველას, ნაგავსაც, არანაგავსაც, თუ ის ადამიანია.

„ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან ბევრი წევრისთვის ადამიანის ღირსება არაფერს არ ნიშნავს. თუ მის ღირსებას ლახავენ, არ მოსწონს, თუ სხვის ღირსებას ლახავენ — მოსწონს.

ელისო კილაძე: „ნაცმოძრაობის“ ადვოკატად არ გამოვდგები.

თამარ ჩერგოლეიშვილი: „ნაცმოძრაობის“ სპიკერი ხარ და სხვანაირად როგორ მოიქცევი?!

ელისო კილაძე: არანაირი სპიკერი არ ვარ. ბოდიში მოიხადე ახლა. „ევროპული საქართველოსგან“ განსხვავებით, რომლის სპიკერიც მართლა ხარ.

თამარ ჩერგოლეიშვილი: კარგი, არ ხარ, მაყურებელმა შეაფასოს, დღეს „ნაცმოძრაობის“ სპიკერი ხარ, ხვალ სხვისი იქნები.

ვისი სპიკერიც ხარ დღეს, ამას მაყურებელი შეაფასებს.

ელისო კილაძე: ბოკერიას ცოლი ღირსების შელახვაზე მე არ უნდა მელაპარაკებოდეს.

თამარ ჩერგოლეიშვილი: ვისი ცოლი ვარ და ვისი რძალი, ამას რა მნიშვნელობა აქვს, რომელი საუკუნეა, სადა ხარ, რომელი გამოქვაბულიდან გამოხვედი?!

ბაბუა ვინ მყავდა და ბიცოლა?!

იმის ცოლი, ამის ქმარი, აღარ დამთავრდა, რა.

...გეკამათები იმიტომ, რომ სააკაშვილის სპიკერი ხარ...

ელისო კილაძე: რამდენი ჩემი ინფორმაცია გაქვს განიუსებული.

თამარ ჩერგოლეიშვილი: როცა სააკაშვილის სპიკერი გახდი, გაშუქებ.

ელისო კილაძე: ძალიან ბევრი სპიკერი ჰყავს მიშას.

თამარ ჩერგოლეიშვილი: ერთ-ერთი შენ ხარ და გუბაზსაც ვაშუქებ, სხვათა შორის.

ელისო კილაძე: მე გუბაზს ვემიჯნები.

თქვენი გამოცემების რეიტინგები დაათვალიერეთ და შეადარეთ, ვის მეტი მკითხველი ჰყავს.

თამარ ჩერგოლეიშვილი: ჩაიხადე და მეტი რეიტინგი გექნება.

შენ სულ ამბობ ტყუილებს.

ელისო კილაძე: მაგალითად?

თამარ ჩერგოლეიშვილი: მაგალითად ის, რომ ბიძინა ივანიშვილთან გარიგებული ვიყავით ჩვენ.

ელისო კილაძე: არ იყავი? 3% მიიღეთ ახლა ამ არჩევნებზე? მოპარული მანდატებით არ შევიდა „ევროპული საქართველო“ პარლამენტში 2016-ში?

თამარ ჩერგოლეიშვილი: შენ რომ სპიკერი ხარ, იმ ოპოზიციამ რას უნდა მიაღწიოს?!

...ე.ი. სწორი იყო იმ ადამიანების მიერ ცოცხების სროლა, რომლებიც გამწარებული იყვნენ „ნაცმოძრაობისგან“?

ელისო კილაძე: ცოცხები იყო დაფინანსებული პროტესტი.

თამარ ჩერგოლეიშვილი: გვარამიას ეთანხმები, რომ თეიმურაზ ხევისთავობა არის მტრის ღირსებაზე ზრუნვა, ანუ აღაზას ლოგიკა თემის ღალატია?

ელისო კილაძე: სხვა რამე თქვა გვარამიამ...

თამარ ჩერგოლეიშვილი: ანუ გვარამიაც მართალია, მიშამ არ იცით, რა ჰქნა და გვარამია სხვა რამეს ლაპარაკობს.

როცა ჩვენ დავიწყეთ, რაც მოხდა და ისიც, როგორი რეაგირება ჰქონდათ პოლიტიკურ ლიდერებს, ჩვენ დავინახეთ, რომ კონსენსუსი ადამიანის ღირსებასთან დაკავშირებით, ფართოვდება და ეს ჩვენი საზოგადოების მოდერნიზაციისთვის, თუ ჩვენ გვინდა, რომ თანამედროვე სამყაროს ნაწილი გავხდეთ, თამაშის წესებზე შევთანხმდეთ და რაღაცა ტიპის სამოქალაქო დისციპლინაზე, რომ ნორმალური ცხოვრება დამკვიდრდეს, კარგად ვიყოთ და არ დავდევდეთ ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ რომ, გამოჩნდა, ვისთვის არის ადამიანის ღირსება უმნიშვნელო და ვისთვის — მნიშვნელოვანი.

ამით მოსახლეობის ინფორმირება ხდება და ასეთი ტიპის განსხვავებების დროსაც კი კარგია, რომ ერთსულოვანი ყოფილიყო ყველაფერი...

გასაგებია, რომ ამ ადამიანებს სხვა ადამიანის ღირსების პატივისცემა არ აქვთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს და დავიცავთ ამას.

კვერცხის სროლა არის დანაშაული. ადამიანი, რომელიც კვერცხს ისვრის, ეს სხვა რამეა, ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოდის, მაგრამ ადამიანის თავზე ქუჩის ნაგვის დაყრა დამცირების მიზნით, ეს არის, რა გითხრათ...

20 კაცი მისდევდა ერთ არარაობას და თავზე დაამხო ნაგავი.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საზოგადოების სიჯანსაღე არ იზომება იმით, ხდება თუ არა მსგავსი რამეები. საზოგადოების სიჯანსაღე იზომება იმით, როგორ რეაგირებს მსგავს რამეებზე.

ელისო კილაძე: ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდით — მაბრალებენ გახარიას სპიკერობას, არ ვიცი, ათასი ვიღაცის.

თამარ ჩერგოლეიშვილი: მე გარწმუნეს, რომ არანაირი ჩიტი არ მყავს, არანაირი სხვა წყაროები, რაც ზედაპირზე დევს, იმას ვაფასებ.

ელისო კილაძე: რაც მოხდა, ეს იყო ღირსების შემლახავი ამომრჩევლისთვის.

თამარ ჩერგოლეიშვილი: ციხეში რაც ხდებოდა, ღირსების შემლახავი არ იყო? და მთელი ეს წლები ცოცხები უნდა გვაყარონ და უნდა დაგვამხონ სანაგვე?

ღირსება აქვს ყველას.

თუ ქართული კულტურიდან ამოსვლა გვინდა, აღაზას პერსონაჟი არსებობს, რომელმაც იცის მტრის ღირსება და ვაჟა გვყავს და როგორ გაუგია იმას საერთოდ, ჯავახიშვილი. ააყირავა ყველაფერი.

მოწინააღმდეგის ღირსებას ვინც უფრთხილდება, ის მიიჩნია მხდალად, ანუ ნაგვის ურნით სირბილი და სხვისი ღირსების შელახვა მიიჩნია ვაჟკაცობად და თეიმურაზ ხევისთავს ადარებს სხვისი ღირსების შემლახავის დამგმობელს.

გასაგებია, რომ არარაობაა ის რესპუბლიკელი, მაგრამ არარაობასაც აქვს ღირსება.

გვარამია რასაც ვერ ამბობს, შენ ამბობ.

ელისო კილაძე: გვარამიას და ჩემი ჩხუბი ეთერში არ გინახავს?

მიჩვეული ხარ ტყუილების ტირაჟირებას.

თამარ ჩერგოლეიშვილი: ჩვენ ორში ვინც ტყუილების ტირაჟირებას ახდენს და ვინც არის მიჩვეული, იმას, რა, ელისო?..

* * *

სხვას რომ ეთქვა და საკუთარი თვალით არ მენახა, ალბათ, არ დავიჯერებდი ლიბერალი „ჩერგოს“ ასეთ სახეცვლილებას. ჯერ ერთი, იმდენად ემოციურად ლაპარაკობდა ყოველთვის გულგრილად სარკასტული ეს ქალბატონი, გეგონებოდა, ის ჩერგოლეიშვილი არ არისო.

ვიფიქრე: ხომ არ დაგვიბერდა „ჩერგო“ და ამიტომაც ზედმეტად ემოციური ხომ არ გახდა-მეთქი?!

აშკარად ღელავდა: ადამიანის ღირსების შელახვას ვერ შევეგუებიო, როგორც ჩანაწერში ნახეთ, წუხდა. კაცისთვის თავზე დაშარდვა და ნაგვის დაყრა დაუშვებელიაო.

კარგია, რომ „გამოსწორებულა“ ჩერგოლეიშვილი და ადამიანების ღირსებაზე დაუწყია ფიქრი.

სახელსა და გვარს არ დავასახელებ, საზოგადოებისთვის ცნობილი ერთი კაცი რომ დაიჭირეს ნაციონალებმა, ცხადია, აბსურდული ბრალდებით, 2012-ში თავი ძლივს რომ დააღწია იმ კაცმა საპატიმროს, საიდუმლოდ ითქვა მაშინ: ნაციონალებმა პირი გააღებინეს და შიგ ჩააშარდესო.

უფრო უარესებიც ხდებოდა ნაცების ზეობისას.

„ჩერგო“, როგორც იქნა, გამოფხიზლებულა, ქართულ ლიტერატურასაც „ჩაღრმავებია“ — ჯავახიშვილის, აღაზას და ვაჟას სულებს შეუწუხებია და ადამიანის ღირებულებაზე დაფიქრებულა, მაგრამ ერთი რამ ძალიან მიკვირს. ეს გაურკვეველი „მედიაწარმონაქმნი“, სახელად ელისო კილაძე რომ გაიძახის ყველა ეთერში, ნაციონალებს მე რომ ვებრძოდი 2012-მდე, ბრძოლა ისეთი უნდაო, „ნაცმოძრაობის“ დროს რაღაც არ მახსოვს, ეს ქალბატონი ყველა არხის ეთერში მჯდარიყოს და ექადაგოს და ებრძოლოს „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“, როგორც ახლა ერკინება „ოპონენტებს“.

ცხადია, რა „ისრითაც არის დაკოდილი“ ქ-ნი ელისო, მაგრამ ახლა მე „ჩერგოს“ გამოსწორება უფრო მიხარია და მაკვირვებს, ვიდრე კილაძის ჯვაროსნული ლაშქრობა „ოცნების“ წინააღმდეგ.

არ ყოფილა მთლად უნამუსო „ჩერგო“ — მისმა ემოციამ გამიჩინა ეს შთაბეჭდილება.

საზოგადოდ, უემოციო ადამიანი ცუდი ადამიანია.

რაც შეეხება ტრანსფორმაციას, მართალია, იშვიათად ხდება საველეს პავლედ გადაქცევა, არც გიგა ბოკერიას იდეოლოგიის ყოველდღე მომსმენი შეიძლება გახდეს უწყინარი ქედანი, მაგრამ აშკარად მორალური და ზნეობრივი უპირატესობა გამოამჟღავნა „ჩერგომ“ იმ დღეს კილაძესთან კამათში.

„მანგუსტა“ ყოველთვის დარჩება „ვარდების რევოლუციონერი“ ქალის ერთ-ერთ სახედ ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ თავისი კოლორიტულობით ყოველთვის გამორჩეული და ჩემთვის არაგამაღიზიანებელი თამარა, გიგას მეუღლე და გიგას სასჯელი, საზოგადოებისთვის აუცილებელ ზნეობრივ, მორალურ, ადამიანურ პრინციპებზე რომ ალაპარაკდა, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს ამას, მაინც კარგია.

როგორც წესი, ვინც ადამიანის ღირსების წაბილწვას და დაკნინებას ცდილობს, მოვა დრო და იმ წამბილწველსაც წაბილწავენ დაუნანებლად და უმოწყალოდ.

ასე საზოგადოება როგორ უნდა შედგეს, წარმოუდგენელია...

ეს რომ სცოდნია, ამიტომ მომეწონა „ჩერგო“ იმ დღეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობისთვის ატომურ ბომბზე უფრო საშიშია

ლას-ვეგასში მიმდინარე წლის დასაწყისში, ტექნოლოგიური კონფერენცია გაიმართა. ცნობილი გახდა, რომ გაიზრდება 5G-ს დაფარვის ზონა, მსოფლიო რამდენიმე ახალ ფლაგმანურ სმარტფონს იხილავს, მოსალოდნელია ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და დრონების ფუნქციების ზრდაც. 3D ბეჭდვა, ნივთების ინტერნეტი, ჭკვიანი სახლი და ჭკვიანი ქალაქი, 8K ტელევიზია, რობოტები, განახლებადი ენერგია, კვანტური კომპიუტერი, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, ციფრული ვალუტა, ვირტუალური და გაძლიერებული რეალობა...



ისტორიკოსი, ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი იუვალ ნოე ჰარარიმ წლების წინ განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარების ტემპები არა მარტო გვაოცებს, არამედ გვაშინებს კიდეც. თავის ნაშრომში "კაცობრიობის მოკლე ისტორია" მან პირველმა მიუთითა ის, რაზეც ხმამაღლა არ საუბრობდნენ აკადემიური მეცნიერების წარმომადგენლები და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, კერძოდ, თუ რაში მდგომარეობს ხელოვნური ინტელექტის ნამდვილი საშიშროება. მკვლევარის აზრით, ნაკლებად სავარაუდოა ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობას დამონებით დაემუქროს, როგორც ეს ნაჩვენებია ცნობილ ფანტასტიკურ ფილმებში, მაგალითად, "ტერმინატორში" ან "მატრიცაში". მაგრამ ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ მისი დახმარებით მსოფლიო ელიტა სულ უფრო და უფრო დაუმორჩილებს თავის გავლენას მთელ კაცობრიობას. ისტორიკოს-მედიევისტმა ამგვარი დამორჩილების ფორმულაც კი გამოიყვანა სადაც ადამიანების "გატეხვაში" მეცნიერი ვარაუდობს ადამიანის ცნობიერების დაქვემდებარებას დიქტატორების ნებისადმი. ეს "გატეხვა" შედგება ყოველ ინდივიდზე არსებული მონაცემების მოპოვებაში ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, ის ასევე მოიცავს თვით მანქანების გამომთვლელ სიძლიერეს და ხელოვნური ინტელექტის ადამიანში ჩანერგვას ბიოლოგიის დონეზე. "დღეს, – წერს ჰარარი, – ქსელში ბევრს ლაპარაკობენ მანქანებზე ადამიანთა ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე. მაგრამ ეს უბედურების მხოლოდ ნახევარია. როდესაც ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ბიოლოგიაში შეაღწევს, უკვე რაიმეს გაკეთება შეუძლებელი იქნება. ადამიანებს მცირე შანსი აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველივე ამას, ანუ გაიმარჯვონ მსოფლიო კორპორაციებზე, სახელმწიფოზე და საბოლოო ჯამში – მსოფლიო ელიტაზე. და, რითი დამთავრდება ეს ყოველივე, უცნობია". ერთადერთი იმედი მხოლოდ და მხოლოდ ზებუნებრივ ძალებზეა რომლებმაც შეიძლება მიუშვან ეს ძალები ან ხელი შეუშალონ ამგვარი პირქუში სცენარის განვითარებას. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, შეუძლებელია ვიცოდეთ უზენაესის ჩანაფიქრი. გასული წლის ზაფხულში, ტესლას დირექტორმა ისაუბრა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ საფრთხეებზე და აღნიშნა, რომ ისინი, ვინც თვლიან, კომპიუტერი მათ კოგნიტური უნარებით ვერ გადაუსწრებს, „იმაზე გაცილებით სულელები არიან, ვიდრე წარმოუდგენიათ". „უკვე ათწლეულია, რაც დაუღალავად ვსაუბრობ ამ საკითხზე", განაცხადა მასკმა,– "ჩვენ უნდა გვადარდებდეს, რა მიმართულებით ვითარდება ხელოვნური ინტელექტი, ჩემი დაკვირვებით, ადამიანები, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით ყველაზე მეტად ცდებიან, რადგან ვერც წარმოუდგენიათ, რომ კომპიუტერი მათზე გაცილებით ჭკვიანი შეიძლება იყოს. ეს მათ ლოგიკაში დაშვებული წუნია. უბრალოდ, ისინი იმაზე გაცილებით სულელები არიან, ვიდრე წარმოუდგენიათ". მასკს აქამდეც უთქვამს, რომ ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობისთვის ბირთვულ იარაღზე გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ის თვლის, რომ აღნიშნული ტექნოლოგიის განვითარების სფეროს გასაკონტროლებლად რეგულაციების შემოღებაა აუცილებელი. "ხომ სრული სიგიჟე იქნებოდა, ვინმეს შემოეთავაზებინა, რომ ბირთვული იარაღის შექმნის უფლება სამყაროში ყველას უნდა ჰქონდეს", განაცხადა მასკმა 2018 წელს, "და დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ატომურ ბომბებზე გაცილებით საშიშია". მასკმა განმარტა, რომ ტექნიკურად ეს არ არის რობოტი, რომელსაც შეუძლია ძალიან ძლიერი გახდეს, არამედ კომპიუტერის პროგრამაა – ალგორითმია. „ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანების ხელოვნურმა ინტელექტმა მისი შეჩერება ერთობლივად შეძლოს, თუ რაღაც ტიპის შეუკავებელი, სწრაფად მზარდი ალგორითმი მივიღეთ. მაგრამ ერთ დიდ ცენტრალიზებულ ხელოვნურ ინტელექტს ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს". ფეისბუქის აღმასრულებელი დირექტორი, მარკ ცუკერბერგი, მასკს ამ საკითხში არ ეთანხმება. მან 2017 წელს აღნიშნა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა უკვე გაუმჯობესა ჯანდაცვის სისტემა და მომავალში საგზაო შემთხვევების შემცირებაც შეუძლია, ხოლო ხელოვნური ინტელექტისადმი გადამეტებული პესიმიზმი "ერთობ უპასუხისმგებლო საქციელია".

საპასუხოდ მასკმა ცუკერბერგისეულ ცოდნას "შეზღუდული" უწოდა. ტესლას დამფუძნებელი მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტი უფრო მკაცრად უნდა იყოს დარეგულირებული, მათ შორის თავის კომპანიაშიც. მასკის თანადაფუძნებულმა ხელოვნური ინტელექტის ორგანიზაციამ ხელოვნური ინტელექტის განვითარების და უსაფრთხოდ გავრცელების მისიას გადაუხვია და "საიდუმლო კომპანიად" იქცა, რომელიც მხოლოდ იმიჯისთვის და ფულის მოპოვებისთვის მუშაობს. აერონავტიკის და ასტრონავტიკის სიმპოზიუმზე მასკმა განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტი "ყველაზე დიიდ ეგზისტენციალური საფრთხეა", რის მიმართაც კაცობრიობას სიფრთხილე მართებს:"ხელოვნური ინტელექტი დემონების გამოძახების შესახებ არსებულ ისტორიებს გავს. ასეთ ამბებში ყოველთვის არის ვინმე პენტაგრამით და წმინდა წყლით, რომელიც ამბობს, რომ დემონის კონტროლი შეუძლია. მისი ამბავი არასდროს ან, ცუდად მთავრდება ხოლმე.""ჩვენ უნდა გვყავდეს სამთავრობო კომიტეტი, რომელიც ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციას შეაგროვებს და პოტენციურად საშიშ ინოვაციას, განსაკუთრებით კი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას დაარეგულირებს". მოგვიანებით, მასკმა ისიც დასძინა, რომ დიდი ალბათობით მსგავსი კომიტეტი არ შეიქმნება... 2015 წელს სტივენ კოლბერის ღამის შოუში გამოსვლისას, მასკს წამყვანმა სთხოვა ორიოდე სიტყვა ეთქვა მარსის კოლონიზაციასთან დაკავშირებულ იდეაზე. „ბოლოს და ბოლოს, შეგვიძლია მარსი ისეთ პლანეტად გარდავქმნათ, როგორიც დედამიწაა, – განაცხადა მასკმა,– „უნდა გავახუროთ". კოლბერმა დაზუსტება სთხოვა. „ამის სწრაფი და ნელი გზა არსებობს", – დასძინა მასკმა,– „სწრაფი პოლუსებზე ბირთვული იარაღის ჩამოგდებაა". მან მოგვიანებით განმარტა, რომ მისი იდეა მარსთან ორი „მზის" შექმნა იყო თერმობირთვული სინთეზით. ინგლისელი მეცნიერი ჰოკინგი მიიჩნევდა, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში საფრთხე უფრო ადამიანთან კონკურენციაში იქმნება. მისი აზრით, ხელოვნური ინტელექტი იქამდე

იმუშავებს, სანამ არ ჩათვლის რომ ადამიანზე ძლიერია და დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია. მისივე განმარტებით, ხელოვნური ინტელექტი ადამიანთა რასის გადაშენებას შეუწყობს ხელს."ვშიშობ, ხელოვნურ ინტელექტი მთლიანად შეცვლის კაცობრიობას. თუ კი ადამიანები ახლა კომპიუტერულ ვირუსების განვითარებას ახერხებენ, მაშინ მომავალში ვიღაც ისეთ ხელოვნურ ინტელექტს შექმნის, რომელიც საკუთარ თავს თვითონ გამოსწორებს და ეს ცხოვრების ახალი ფორმა იქნება".

ხელოვნური ინტელექტის მამამ ჯონ მაკარტიმ, 1955 წელს პირველმა გამოიყენა აღნიშნული ტერმინი. ის, 2005 წელს პროგნოზირებდა, რომ ხელოვნური ინტელექტის სამომავლო პერსპექტივა არის მისი განვითარება ადამიანური ინტელექტის დონემდე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნური ინტელექტის სრულყოფილი მოდელი არის ბუნებრივი, ადამიანური ინტელექტის ანალოგი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ჯერ-ჯერობით ყველაზე მოაზროვნე არსებაა სამყაროში მისი ინტელექტი შესაძლოა ბევრად ჩამოუვარდებოდეს კომპიუტერულ ინტელექტს. რაც უფრო ვითარდება ხელოვნური ინტელექტის შესაძლობლობები მით უფრო ბევრად სცილდება ის ადამიანის ყველაზე სრულყოფილი ინტელექტის მაქსიმალურ შესაძლებლობებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ინტელექტის შესაძლებლობები ბევრად აღემატება ადამიანისას, რადგან მას შეუძლია უზარმაზარი მონაცემთა ერთობლიობის დამუშავება დროის უმოკლეს პერიოდში შეცდომის დაშვების მინიმალური ალბათობით. ხელოვნური ინტელექტი წინასწარ დაპროგრამებული ალგორითმების საშუალებით იღებს გადაწყვეტილებას. მისი არსი იმაშია, რომ მისთვის სრულიად უცნობ და ახალ სიტუაციაში ისწავლოს და იმოქმედოს საუკეთესო შედეგის მისაღწევად... საინტერესოა, გადაწყვეტილების მიმღებ ხელოვნურ ინტელექტს, სიყვარულს, ღალატს, მეგობრობას, მტრობას ასწავლიან? ან, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, სად ხედავენ ბუნებრივი ინტელექტუალების, თუნდაც უბრალო ადამიანების ადგილს, რომლებსაც ურთიერთობა, ცოდნის გაზიარება, არსებობა და ყველაფერი ადამიანური ჭირდებათ ამ მზისქვეშეთში?

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რუსლან აბაშიძე: – „დაივიწყეთ აფხაზეთი!“

საქართველოს მთავრობას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

ირინე ქეცბა

ასეთი მოწოდებით მომართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძემ სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ (ცენტრი ლიკვიდირებულია აბაშიძის ბრძანებით) ყოფილ ხელმძღვანელს ირინე ქეცბას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა უნდა იყოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი წარმმართველი,

რუსლან აბაშიძე

ინიციატორი, დევნილების იმედი და მათი მხარდამჭერი, თუმცა, რომელ მხარაჭერაზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს ეს პრობლემა არც კი ახსოვს, ის სულ სხვა შავბნელი საქმეებითაა დაკავებული – სტრუქტურული ერთეულებიდან, პროფესიონალი კადრების დათხოვნითა და თავისი ოჯახის ახლობლებით ჩანაცვლებით და, რაც „მთავარია”, გულწრფელად მოგვიწოდებს: „დაივიწყეთ აფხაზეთი“, რითაც აფხაზეთიდან დევნილებს გვიკლავს მშობლიურ კუთხეში დაბრუნების იმედს, ამ სიტყვებით ის ნათლად ადასტურებს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად არაფერს გააკეთებს. გვიჩნდება კითხვა: რატომ უნდა წარმოადგენდეს აფხაზეთიდან დევნილებს ასეთი განწყობის ადამინი?! რატომ უნდა იღებდეს მონაწილეობას ჟენევის ფორმატში გამართულ შეხვედრებზე?! თუ ვინმეს გაქვთ ამაზე პასუხი, დიდი ინტერესით მოგისმენდით.

აბაშიძის თავმჯდომარეობის პერიოდში ფინანსურ დარღვევებზე არაერთი წერილი გამოქვეყნებულა პრესასა თუ სოციალურ ქსელში, რომელმაც ასევე, ასახვა ჰპოვა ფინანსური აუდიტის დასკვნაშიც, მაგრამ მერე რა?! არაფერი, „წერე და იკითხე“, აბაშიძე თავისი ავადმყოფური ახირებების შესაბამისად, თამამად განაგრძობს შავბნელ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ბოლო საფინანსო აუდიტის დასკვნა ეხება აბაშიძის მოღვაწეობის დაახლოებით პირველ 6–8 თვეს და გაჯერებულია არასწორი ფინანსური ხარჯვების ფაქტებით, ძნელი წარმოსადგენი არაა, მომდევნო აუდიტორული შემოწმებისას, რომელმაც უნდა მოიცვას მისი „მოღვაწეობის“ შემდგომი პერიოდი, აუდიტის თანამშრომლებს რაოდენ „მსუყე მასალა“ შეიძლება დახვდეთ აბაშიძის „ახლო-მახლო“. მე მოვიპოვე ინფორმაცია, რომ **„Tbilisi Hills Golf & Residences“**-ის ხელმძღვანელობა რუსლან აბაშიძეს ბრალს სდებდა დიდი ოდენობით თანხის მითვისებაში. 2018 წლის აპრილამდე აბაშიძე სწორედ აღნიშნული კომპანიის დირექტორი გახლდათ და თანამდებობა მას იძულებით დაატოვებინეს. ამ საქმეზე ბიზნესმენის მიერ რუსლან აბაშიძის წინააღმდეგ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. (https://commersant.ge/4 დეკემბერი, 2019 წ.).

ცნობილია, რომ დღეს, დევნილების ნაწილი უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს, რაც აბაშიძეს არ ადარდებს, ან ამისთვის სცალია? სწორედ ამიტომაც თავმჯდომარე ვერ მიდის დევნილებთან შეხვედრებზე, ან თუ მაინც გაბედავს მათთან მისვლას, ეს არის წინასწარ საგულდაგულოდ შემზადებული დევნილთა ჯგუფები. მას სათქმელი არაფერი აქვს დევნილებისათვის, გარდა სიტყვებისა „დაივიწყეთ აფხაზეთი!“

აფხაზეთიდან დევნილები მრავალი „ეპითეტით“ ამკობენ თავმჯდომარეს, მაგრამ უმთავრესია „მოღალატე“, რაც დავით-გარეჯის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის აზერბაიჯანისთვის გადაცემის დოკუმენტზე ხელმოწერას გულისხმობს. (ამ თემაზე მიმდინარეობს გამოძიება და იმედია ძაან მალე დაადგენს მართალსა და დამნაშავეს). ვფიქრობთ, ეს ადამიანი დიდი სიამოვნებით მოაწერს ხელს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების დოკუმენტზეც, თუ რა თქმა უნდა, მისი პირადი ინტერესები იქნება გათვალისწინებული.

აბაშიძემ დაანგრია და საბოლოოდ გაანადგურებს აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტუქტურებს, მისი, თვითნებობა ადამიანურობის ვერანაირ ჩარჩოებში ვერ ჯდება. მაგალითად, ბოლო საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რაღაც თხუთმეტი დღით ადრე, მან გამოაცხადა აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურების რეორგანიზაცია (განვიხილავ ამ აქტს, როგორც საბოტაჟს საქართველოს მმართველი გუნდის წინააღმდეგ). წინასაახალწლოდ, 30 დეკემბერს, ის კვლავ გამოსცემს რეორგანიზაციის განკარგულებას. მისივე მითითებით, სსიპ. „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა ვერ მიიღო 2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის სახელფასო ანაზღაურება, ანუ წინასაახალწლოდ როგორც იტყვიან „მშრალზე დატოვა“ ისინი. ყველა, ვინც კი მოითხოვა მიზეზი და არგუმენტი უწყვეტი რეორგანიზაციის პროცესისა და ხელფასების დაკავებისა, დღეისათვის გათავისუფლებული არიან თანამდებობებიდან. ახალი წლის წინა დღეს, აბაშიძე თანამდებობიდან ათავისუფლებს, ამავე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ლევან ღვინჯილიას. როგორც ვხედავთ, თანამშრომლებისათვის „საახალწლო საჩუქრები“ არ დაიშურა აბაშიძემ. ამ უკანასკნელ ფაქტს შეეხო საკრებულოს დეპუტატი ერეკლე კუხიანიძე: – „აი რა ნაძირალა არაკაცი უნდა იყო, რომ 70 წელს მიღწეული დამსახურებული პროფესიონალი ახალი წლის წინა დღეს მოხსნა სამსახურიდან? რუსლან აბაშიძე – გაუნათლებელი, გაყოყლოჩინებული ხეპრე, რომელმაც ყველასათვის ცნობილი გზებით მიაღწია თანამდებობას, ბედავს და 30 დეკემბერს წერს ბრძანებას ლევან ღვინჯილიას გათავისუფლებაზე, ადამიანისა, რომელსაც აუწონავი ღვაწლი აქვს გაწეული ქართული ხალხური შემოქმედების და არა მარტო, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მის მაგივრად მოჰყავს თავისი ახლობელი, სრულიად შეუფერებელი ამ საქმისათვის. ეს არის სამარცხვინო ნეპოტიზმი და ადამიანის ღირსების მასხრად აგდება.“ (Error! Hyperlink reference not valid. 31 დეკემბერი, 2020 წ.).

მიუხევადად ყველაფრისა, ცენტრალური ხელისუფლება, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია დუმს, არანაირი ქმედითი რეაგირება. მანამ კი, აბაშიძე იკმაყოფილებს თავის მიზნებსა და სისტემის განადგურებისაკენ მიმართულ სურვილებს. თუ ვინმემ გაბედა და მის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვა, სთხოვა გადაწყვეტილებების მიზნის ახსნა, სასწრაფო წესით თანამდებობებიდან ათავისუფლებს მათ.

მე, აფხაზი ქალბატონი, როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 350 000 საქართველოს მოქალაქე, ამჟამად ვიმყოფები დევნილობაში, ვცხოვრობ თბილისში და დიდი იმედი მაქვს, რომ მოვესწრები მშობლიურ კუთხეში – აფხაზეთში, დაბრუნებას, სადაც, აბაშიძისგან განსხვავებით, ბევრი მონატრებული ნათესავი და მეგობარი მელოდება და ამ დროს მესმის „დაივიწყეთ აფხაზეთი!“, ეს სიტყვები უდიდეს ტკივილს მაყენებს და ვისურვებდი, აფხაზეთის ა/რ მთავრობას მსგავსი განწყობის ადამიანი არ ხელმძღვანელობდეს, მე უნდობლობას ვუცხადებ მას, და ჩემს ირგვლივ დევნილთა დიდ უმრავლესობაში, სააზლობლოშიც, ნაცნობებშიც, მათ შორის აფხაზი ეროვნების დევნილებშიც დამერწმუნეთ ანალოგიური განწყობაა. აბაშიძის ე.წ. „მოღვაწეობაზე“ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუმცა ისიც ვიცით, რომ მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი დევნილი საზოგადოებისთვის ბევრ ახალს ვერ ვიტყვით, რადგან ყველამ ყველაფერი იცის, იცის და მერე რა?!. აბაშიძე თავს კომფორტულად გრძნობს და ტკბება აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურების რღვევისა და შიმშილისათვის განწირული, სამსახურიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებული პროფესიონალი, აწ უკვე ყოფილი თანამშრომლების ცქერით.

მივმართავ საქართველოს მთავრობას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს (რომელმაც მიიღო ისეთი კონსტიტუცია, რომლითაც რ. აბაშიძეს ერთპიროვნულად მისცა უფლება აკეთოს ის რაც უნდა და რაც მოესურვება, ყველასთან და ყველაფერთან მიმართებაში), მოახდინონ აბაშიძის „საქმიანობაზე“ რეაგირება. დაევალოს შესაბამის სამსახურებს, უზრუნველყონ აფხაზეთის მთავრობისა და მას დაქვემდებარებული სტრუქტურების ფინანსურ ოპერაციებთნ დაკავშირებული საკითხების შემოწმება, რათა ერთხელ და სამუდამოდ „თეთრს დაერქვას თეთრი, შავს კი შავი“.



ირინე ქეცბა

იუა კოღონია

სვანი მირზაყანი

ეს ამბავი მოხდა ჩვენში წინათ
გასულია უკვე დიდი ხანი,
ვაქებ იმ კაცს, მთებს შემორჩა ვინაც,
ვისაც ერქვა სვანი მირზაყანი.
მე იმ გმირის გმირობას ვით გიხსნით,
მიგდეთ ყური, აღარ მოიწყინოთ,
კავკასიელ კაცის ცხელი სისხლი,
ძველი არის ვით ქართული ღვინო.
არ ყოფილა ის აფხაზი, არა,
იყო ბეჭებგანიერი სვანი,
იშვიათად ჩაიდოდა ბარად,
დასჭექდა და ბანს აძლევდნენ მთანი.
გირგვალ ჩაჩბა ცნობილია ჩვენში,
დიდებული კაცი არის მეტად,
მირზაყანის მსგავსად ისიც მხრებს შლის
და თავის ხალხს უდგას მტკიცე სვეტად.
შეხვდნენ ერთურთს, გულმა გული იცნო
და გაუხსნენ ერთურთს გულის კარი,
სვანს თავის და გაატანოს ვინძლო,
ენდჯი-ხანუმ, ცის ნათელის დარი.
დამოყვრება გადაწყვიტეს უცებ,
გადაწყვიტეს აფხაზმა და სვანმა,
კაცთ რომ ულხინთ, ქვასაც გული უცემს,
იცის ესეც უნდობარმა ხანმა.
ფერი ფერს და მადლი მაღალ ღმერთსო,
დაებედათ წყვილებს რჩეულთ ბედი,
ღვთის სახიერთ სათნოება ეცხოთ,
უყვარდათ და არც რა სურდათ მეტი.
მათზე უფრო საიმედოს, ერთგულს,
ვერ ნახავდით, დადიოდა ვინც კი,
სულის სულში უხტებოდნენ ერთურთს,
იყვნენ მართლაც ერთმანეთის ღირსი.
არ ჩაგრავდა მირზაყანი ჩაგრულს,
თავზარს სცემდა მოძალადეს, მჩაგვრელს,
ყურს უგდებდა ზეცის ქნარზე დაკრულს
და ლეწავდა ბორკილებს და საკვრელთ.
ჩასხდნენ ორნი ერთ საერთო ნავში
და ერთმანეთს არცერთი არ დათმობს,
კაცი მტკიცე, პიტალო კლდის მსგავსი,
ქალი-ალვა, კენარი და სათნო.
პატივს სცემდნენ მირზაყანს, ვით მთიელს,
თვალები აქვს სვანს კაცს საცრისხელა
პატივს სცემდნენ, როგორც კავკასიელს,
როგორც სვანსაც პატივს სცემდა ყველა.
წარბს რომ სწევდა, მოჰგავდა ზღვის ღელვას,
კაცი ზორბა, არნახული ძალის,
ციბრუტივით მსრბოლი ჰგავდა ელვას,
ელვას ჰგავდა მისი ბასრი ხმალიც.
იყო, როცა ნაბდის ჩოხის ძველას,
ანაცვლებდნენ ჭრელი ფარჩის სამოსს,
ჩვენი ხალხი ითვისებდა ძნელად,

მურზაყან დადეშქელიანი

უცხო ქვეყნის წესებსა და კანონს.
რაც სულს ტკივა, ტკივა დაღლილ ხორცსაც,
გადაეცით უცნობსა და ნაცნობს,
გუბერნატორ გაგარინმა როცა
კავკასიას თვის ბრძანება ამცნო.
ყოველი გზა სამსჯავროსთან მიდის,
რომ ხართ, ჩვენი წყალობაა ისიც,
თავადები, ყველა კუთხის მკვიდრნი
ჩამოვიდნენ ქალაქ ქუთაისში.
გვემსახურეთ, გიჯობთ თავდადებით,
გაივლიდეთ დღეში ორ დღის სავალს,
შეჩოჩქოლებული თავადები
ჰგვანან ტარიგთ სამსხვერპლოსკენ მავალთ
ბზარი ჩნდება დიდკაცების ხმაში,
ზოგიერთი უკანაც კი იხევს,
იურჩებენ? გაუხდებათ მაშინ,
სანატრელი კატორღა და ციხე.
მოლოდინი მათი უკვე გაცვდა,
მათ ოცნებას შეეკვეცა ფრთები
ქუთაისში მეგობრების ნაცვლად,
დახვდნენ მათი მოძულე და მტრები
საავდროა ღრუბელი და თალხი,
ბოროტება არავის არ არგებს,
მოტყუებით ჩაყვანილი ხალხი,
შეიპყრეს და თოფის ხიშტზე აგეს.
ვინც აქედან გასაქცევ გზას ეძებს,
გაიგონეთ, დაისჯება ორწილ,
შეიპყრობენ თავადებს და ხელზე,
დაადებენ ხუნდებსა და ბორკილს.
ქუთაისში დადის მირზაყანიც,
იმისთვისაც ავბედითი დღეა,
ვერ იქნება გულდედალი სვანი,
ის ხომ მტრისთვის მიუვალი კლდეა.
მოდის, თითქოს ფეხს იდგამენ მთანი,
მოდის აქ ხმა რაშის გულისცემის,
ამაყია ცხენით ცხენოსანი
და პატრონით ამაყია ცხენი.
მოჰგავს თავად გაგარინის შტაბი,
მოჰგავს წითელ ჭინჭველების ბუდეს
აქ მრავალი გულღრძოა და ზადი,
გულის ნაცვლად აქ მკერდში ქვა უდევთ.
აქ არავინ არის მომფერები,
აქ არავინ დადის შთაგონებით,
ზოგს ამშვენებს მკერდზე ორდენები,
ზოგს ამშვენებს მხრებზე პაგონები.
თუ განგაშის ზარმა უცებ დაჰკრა,
თქვენ, მუნდირით კვლავ რომ იმოსებით,
ვისშიც სული და ვაჟკაცი ჩაკვდა
ცარიელი დარჩით ჩინოსნები.
მოახსენეს გაგარინს, რომ უკვე,
მირზაყანი შტაბისაკენ მოდის,
ფეხქვეშ თელავს ქუთაისის შუკებს,
აქ მოაღწევს, აღარ ვიცით, როდის.
ჩაიცინა ჩუმად გენერალმა,
მე ვიპოვნი მის დაჭერის საბაბს,
არც კი იცის გულსადაგმა სვანმა
როგორ ვუგებ საიმედოდ ხაფანგს.
კაცია და უნდა გახდეს ლანდი,
რა სურს მაინც, ნეტავ რაღას ითხოვს,
ისე ყინჩად და ამაყად დადის,
რომ ქორწილში ყოფილიყო თითქოს.
რაც მიქნია, ისევ იმას ვიზამ,
ავამღერებ, ჩამოვდივარ ნაძლევს,
მოემზადეთ და იყავით ფხიზლად,
საგანგებო დავალებას გაძლევთ.
გირგვალ ჩაჩბა მდგმურად იყო ქალაქს,
ქუთაისში ჰქონდა მყუდრო ბინა,
ახლობლობას სვანთან ის არ მალავს
დაუხვდება ის მირზაყანს წინა.
ღვთის წყალობა გქონდეს, სვან კაცს ეტყვის,
სადაც მიხვალ, იყავ მეტად ფრთხილად,
მოლოდინი გქონდეს მთიელს სეტყვის
არ დაგიჯდეს სითამამე ძვირად.
განსაცდელი, რაც შენ ახლა გელის
გევალება, შეაფასო საღად,
კი დაჰქროდი შენ სვანეთის მთებში,
ქარაფებზე დაფრინავდი ლაღად.
აქ კი, ერთი რას გაწვდები ასსა,
იქ ცხოვრებას ეწეოდი ლხენით,
წყალობდი და პატრონობდი სხვასაც

იუა კოღონია 1903 - 1928

და პატრონიც თავად იყავ შენი.
მალი ხარ, ვით ცეცხლი, მისი ალი,
მაგრამ ასე ითხოვს რაკი საქმე,
თუ მოგთხოვეს, ჩააბარე ხმალი,
არ გაჯიქდე და მორჩილად დათმე.
- გეტყვი, შტაბში კაცი ვით ვერ მივალ,
თუ მივლია ყინვასა და ქარში,
თუ ღირსება ავიყარე, გირგვალ,
მე სიცოცხლე რაღად მინდა მაშინ.
ნისლი ქალაქს თავზე ედგა, ჰბანდა
ჰბანდა ქალაქს ისიც მხოლოდ დილით,
არ აშინებ მთიდან მოსულ სვან კაცს,
არ აშინებს ავის მოლოდინი.
კვლავ მიუგო ჩაჩბას მისმა სიძემ,
რაც გითხარი, არ გაუვა წყალი,
მკერდში გული ტყუილა როდი მიცემს,
ძველებურად ჭრის კვლავ ჩემი ხმალი.
ფანტავს ქარი ბინდს, ვით ფუტკრის ნაყარს,
მივალ, თორემ შევიშლები მთლადო,
თუ სურთ ჩემთვის იარაღის აყრა,
მოვიდნენ და ვით ამყრიან, სცადონ!
მიხვდა გირგვალ, შეაჟრჟოლა მასაც,
გახდა მისთვის უკვე გასაგები,
გმირს ვერაფრით ვერ შუკრავ გზასა,
ვერ ჩაკეტავ დევგმირს გასაღებით.
ნახა, მეტად რიხიანი იყო,
სვანი კაცის სვლა და სიარული,
ნაღველი სულ არ ეფინა იმ დროს,
თითქოს იყო მეტად მხიარული.
შეიბერტყა თავის ზორბა ტანი,
შევიდოდა შტაბში სვანი სანამ
ირიჟრაჟა, გაქრა ბინდი ღამის
სალდათები თითქოს არსად ჩანან.
შემოვა და დავეცემით ერთ კაცს,
დავატყდებით თავზე როგორც დელგმა,
ვით გასწირა ის, მაღალმა ღმერთმა
ვინც დასახა ვერაგული გეგმა.
შემოვა და გათავდება დღეისს,
გენერალი ფიქრობს ბოღმით მთვრალი,
გვერდს უმშვენებს მჭრელი ამასკეი,
სვან მირზაყანს აფხაზური ხმალი.
მოუღლელი ახლდა თავის მკლავიც,
ბუმბერაზ გმირს ამასკეის გარდა,
განწყობაა მთელ ქალაქში ღამის,
ეფარება ფანჯრებს სქელი ფარდა.
ცხრა საათზე შედის შტაბში სვანი,
გენერალთან შედის მხოლოდ მარტო
გაგარინთან ერთად იყვნენ სხვანიც
მოსულ კაცზე არავინ არ დარდობს.
ხალხით სავსე გაგარინის შტაბი,
მოჰგავს ხშირ ტყეს, გაუვალს და უღრანს,
გენერალი ბოლთასა სცემს, დადის
მჭრელი მზერით მთიელ დევკაცს ბურღავს.
არის ბედის ნებიერი ახლა,
ბედმა ასე აღაზევა ვინაც,
მზერას მისსას ქედმაღლობა ახლავს,
სინდის-ნამუსს მასში კვლავაც სძინავს.
ჭკვას ატანენ ნიავს ქერის ბზისებრ,
ვერ იტანენ სტუმარს ახლომყოფსა
და სიტყვასაც გაისვრიან ისე,
გაისვრიან ვით ხშირ-ხშირად თოფსა
მე ვარ, რიხით იტყვის გაგარინი,

მოგზავნილი მეფისაგან თქვენთან,
დასთამაშებს მას ტუჩებზე ღიმი,
თქვა ის, რაც მას კიდეც უნდა ეთქვა.
არ მეურჩე, გეტყვი მე შენ იმას,
ხარ შენ ღირსი ამისათვის ქების,
ჩემს ბრძანებას შეასრულებს ვინაც
ერთგულია უსათუოდ მეფის.
მზე აშუქებს სასახლესაც, ქოხსაც,
მეფის ზრუნვით მე ვარ ახლა სავსე,
თუ კი რამე საგანგაშო მოხდა,
ჩემი ჯარი მიერთგულებს წამსვე.
ამიტომაც შენ მოგმართავ, თავადს,
კარგად ვიცი, ვაჟკაცი რომ ხარო,
შენი ბედი გადაწყვიტე თავად.
იარაღი უნდა ჩამაბარო!
უცებ შტაბში ისეთი რამ მოხდა,
გენერალი რომ დატოვა სახტად,
არ ისურვა სვანმა მუხლის მოყრა
და გაგარინს უპასუხა სხარტად:
- ჩვენ იქ მთაში, ადგომას მზეს ვასწრებთ,
შევუყვებით ბილიკს მთისკენ სისხამს,
ვწვდებით ხელით ღრუბლის მოზრდილ ნაჭრებს,
იარაღსაც ტყუილა როდი ვისხმათ.
აღარ ვგავარ მეკობრეს და მპარავს,
კარგად ხედავთ, იარაღი რომ მშვენის,
მე არც თქვენი ჯარისკაცი არ ვარ,
არც ლაქია აღარა ვარ თქვენი!
არა ვგავარ თქვენს ფინია მწევარს,
არც აჭრილა სხვაში ჩემი სისხლი,
სალოცავად ტაძარში რომ შევალ
ამ იარაღს მხოლოდ მაშინ ვიხსნი!
მეც ვატარებ მკერდზე მთვარის ნიშანს,
შევსწრებივარ დღის და ღამის გაყრას,
იარაღის აყრა ჩვენში ნიშნავს
ღირსების და ღირსად ცნობის აყრას.
მეომრებო, წამოდექით ხელად,
ყვირის შტაბში მშიშარა და ტრელი,
ჩინიანმა თუ უჩინომ ყველამ
სატევარზე იკრეს ორივ ხელი.
აიმართა მირზაყანიც ზეზე,

ერეკლე საღლიანი

აამღერებს მახვილს, როგორც ლარჭემს,
ეძებს ხიფათს და ფათერაკს ეძებს,
არ მიმტყუნო ამასკეი, გასჭერ!
სახით მოჰგავს მანათობელ მთვარეს,
ხელებზედაც მთვარისფერი გაჰკრავს,
მტერს დაუსვა რისხვა სვანმა მწარედ,
ვერ ითვლიან იმის ხმალის ნაკრავს.
წაეტანა ერთ ხმალს ერთიანად,
ალესილი ასი გორდა ხმალი,
მირზაყანი დაიბნევა განა?
არწივივით ჭრის იმისი თვალი.
ბრდღვინავს, როგორც ვეფხი, თვის თავს არ ჰგავს,
ზოგი კიდევ ხრიალებს და ხავის,
მოიხელთებს გაგარინს და დაჰკრავს,
ტანს გაშორდა მოკვეთილი თავი.
გაიჭრება გმირი უცებ გარეთ,
არ აშინებს მტრის თოფების ჭექა,
ნაფოტებად დაშლის შტაბის კარებს,
მისგან ბევრი მწარედ დაიბეთქა.
გადაირბენს ნამშეუმშრალ ეზოს,
შევარდება უცებ უცხო სახლში,
კვალში სდევენ, ვერ აგნებენ ეგზომ,
ცეცხლს თესენ და დატოვებენ ნახშირს.
შერჩა ხელში სვან კაცს თვის ხმლის ვადა,
თავს არიდებს მტრისგან ნასროლ ტყვიას,
დაუხვდება, უნდა იყოს სადაც
თუნდაც დარჩეს სახლის კარი ღია.
ნახა ტახტი, კუთხეში რომ იდგა,
დაშალა და იწყო მტერთა ლეწვა,
დაუხვდება მტერს კარებთან მიმდგარს,
არყევს, როგორც ქარი არყევს ლერწამს.
ესროლეს და დაჭრეს მირზაყანი,
ჯარისკაცმა მას ესროლა მიჯრით,
არ ნებდება მტერს დაჭრილი სვანი,
არ ნებდება და ბოლომდე იბრძვის.
არცა კვნესა, არც მცირედი მოთქმა,
შეავედრებს თვის ბედს სვანურ საყდრებს,
ის კიდევაც შეიძლება მოკლან,
მაგრამ მაინც აღარ უნდა გატყდეს.
დაიცხრილა იატაკიც და ჭერიც,
კვლავ მოარტყეს ტყვია უფლის ტარიგს,
ნახოს ყველამ, ერთმა კაცმა მტერი -
მტერი უნდა წაახდინოს რარიგ.
ნახა სვანმა, თავის თვალით ნახა,
თვალებიდან ამოსული ნისლი,
ღირსებას ის თვისსას აღარ მარხავს,
თუმც კოჭებშიც ჩასდის უკვე სისხლი.
აღარაფრით არ იწურავს იმედს,
ვერ მოდრიკავს სიმრავლენი ჯოგთა,
დაჭრეს გმირი, დაჭრეს მეტად მძიმედ
მაგრამ ტკივილს მაინც აღარ გრძნობდა.
- მე იარაღს აღასდროს დავყრი!
იტყვის სვანი, ერთგულია ფიცის,
ყოველ მტრისგან გამოგზავნილ ტყვიას,
ის აყოლებს ხარხარსა და სიცილს.
მოკლეს, როცა ცად წავიდა სული
მეც მსურს მისი შემართება დამყვეს,
კავკასიის იყოს სიქადული,
კავკასიის იყოს სიამაყე!
დაამწუხრა მთელი ხეობა და,
იყო სვანი იმპერიის ურჩი,
კავკასიის იყო ზნეობა და
ამ ზნეობის იყო მტკიცე ბურჯი.
მე დღეს მასზე ვფიქრობ, მასზე ვდარდობ,
სიტყვას ვამბობ, თუმცა ძალზე გვიან,
თვით სიკვდილშიც იყო იგი მარტო,
მარტოსულმა თავად სიკვდილს სძლია.
სიტყვა ჩემი აისისკენ მიმყავს,
მიმყავს სადღაც, დავყოვნდები წამით,
ვით აფხაზი გმირი, ისე გვიყვარს
ჩვენ, აფხაზებს, სვანი მირზაყანი!

აფხაზურიდან თარგმნა
ერეკლე საღლიანმა

„იმერული თურმეობითი“

ჩვენო ძვირფასო საძებარო მკითხველო, ალბათ, გახსოვთ ცხონებული ოტია იოსელიანის შეგონება: ჩვენ, პატარა კი არა, მცირერიცხოვანი ერი ვართ, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, წიაღისეულში რკინაა ბევრი, თვარა, ოქრო მცირედაა!..

ასე სახელდახელოდ გვთავაზობდა მარტივ მეტაფორას: მრავალრიცხოვანი ერები, ვთქვათ, ფინიკიელები, ეტრუსკები, სხვანი იმიტომ გადაშენდნენ, რომ რკინა ადვილად ჟანგებადია, კოროზია ჭამს, ხოლო ოქროს ჟანგი საერთოდ არ ეკარებაო!..

ოტია რისი ოტია იქნებოდა, იქვე, იუმორზე არ წასცდენოდა სიტყვა: სად არიენ ის მრავალრიცხოვანი შუმერები, ერთი ზურა ქაფიანიძე რომ შემორჩენილა ნიმუშადო!..

ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა, მაგრამ ისეთ თემას მოვეჭიდე, ჩემზეც შეეძლო ეთქვა: სა არიენ ის შანიძეები, ჩიქობავები, თოფურიები და სხვები, ერთი გიზოიე ზარნაძე რომ დაგვდგომია ქადაგადო!..

ჰიპოთეზად ნუ ჩამითვლით ჩემს ვარაუდს, მაგრამ ხალხური მეტყველების უკიდეგანო ოკეანეში ერთ ისეთ რეალობას ჩავუფიქრებივარ, რის თაობაზეც ვბედავ საუბარს და კი ვთქვი დასაწყისში — ვარაუდს კაცი არ მოუკლავს-მეთქი.

ერთი სიტყვით, მართლა რომ არავინ წაიქილიკოს, რას გვეგლახჭრიაშვილებაო! — შევეშვები წიაღსვლებს და მოკლედ მოვჭრი: კაი ხანია, დაკვირვებას ვარ — მშობლიურ იმერეთში, სადაც ვშობილვარ ამ 88 წლის წინათ (ასე რომ, მისაღებიც და მიუღებელიც ჩემ ასაკს დააბრალეთ), საკმაოდ ფესვგადგმულია მეტყველებაში ზმნების უცნაური, მოდიფიცირებული უღლილება, — თითქოს მიმღეობაა, თითქოს — თურმეობითი.

მაგალითები:„— კი მარა, ისიდორეს ძროხა რატო არ გიყიდიათ, 11 ლიტრს ნაწველება დღეში?!

— მძვირად დოუფასებია, შე ქალო, 5000 ლარი! ღმერთი აღარაა?! ოთხნახევარს ქე ნაძლევარა ჩემი კაცი, მარა არ უქნია ისიდორეს.“

ჰოდა ვსვამ კითხვას: გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, რა არის„ ნაწველარა“ და„ ნაძლევარა?“ და, რაც მთავარია, არის თუ არა ეს სიტყვები გასაგები ნებისმიერ რეგიონში მცხოვრები ქართველისათვის?!

ან, კიდევ:„ გოუთავისუფლებიათ ლიდა მასწავლებელი სამსახურიდან. ვერ ნასწავლება ხეირიანად. ისე, ცოდვა რად მინდა და, მაინდამაინც, არც ჩვენი ბოვშვი ნასწავლა ბეჯითად.“

ჰოდა ისევ და ისევ: რა არის„ ნასწავლება“ და„ ნასწავლა.“

შემოგთავაზეთ ცხოვრებაში არაერთგზის მონასმენი ფრაზები და რაღაცნაირი, უხერხულობის გრძნობა დამეუფლა, რომ, უპირველესად არ მომადგა ენაზე„ ცოცხლადშობილი“ (ზოგს რომ„ მკვრდადშობილი“ ჰგონია!) გენიალური პოეტის ლადო ასათიანის ფუნაგორია-შეხუმრება დაუვიწყარ ნიკა აგიაშვილზე:„ აგიაშვილსა ნიკასო, არ ნაყვარება პიკასო! Gგადარეულა პიკასო, რა დოვუშავე ნიკასო?!“

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ხომ ყველასათვის გასაგებია სიტყვა„ ნაყვარება“!

გასაგებია, ლიტერატურული ფორმაა„ ჰყვარებია“, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ„ ნაყვარება“ უფრო ზუსტად, უფრო მკაფიოდ, მსუბუქი ირონიითა და, ამდენად, მეტი იუმორით გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას

კარგად ვიცი, ღირსების მქონე ადამიანი რომ იაფფასიან სენსაციებს უნდა ერიდოს და ამას არც ვაპირებ; თანაც, შესაძლოა, ეს საკითხი ენათმეცნიერთათვის სულაც არ იყოს„„ ახალი ამერიკა!“ მაგრამ, რადგან თქვენი მონა მორჩილი არ გახლავთ პროფესიონალი ლინგვისტი, დილეტანტურ დონეზე ვკითხულობ: რა ეწოდება ხალხურ მეტყველებაში ხშირად ხმარებულ ასეთ სიტყვებს, მიმღეობაა? თურმეობითია? თუ რა? Dდა ერთიც: რაგინდ ორჭოფულადაც უნდა მოგეჩვენოთ დასმული კითხვა, პასუხიც ორჭოფული არანაირად არ ეგების!

ბიზო ზარნაძე

P.S. მახსოვს, ჩემი უფროსი დაიკო მთელი საღამო მეჩიჩინებოდა: ხვალ ორიანს გპერტყავს ნადია მასწავლებელი, გაკვეთილი არ იციო! სინამდვილეში, ხუთიანი დავიმსახურე და, როცა თალიკოს „ვახარე“, წავუმატე: რაო, არ მნაცოდნარა!

შვიდათეულზე მეტი წლის წინანდელი ამბავია, მარა, გუშინდელივით მახსოვს, არ შეუცხადებია „მნაცოდნარა“.

დოქტორ ბრეგის ორმაგი ცხოვრება

უფროსი ასაკის ადამიანებს კარგად ახსოვთ ამერიკელი დიეტოლოგის პოლ ბრეგის წიგნები, რომელიც სწორ კვებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესს ქადაგებდა. მისი მთავარი წიგნი — „შიმშილობის სასწაული“ სსრ კავშირში არ გამოცემულა, მაგრამ მას საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდნენ და ხელითაც კი იწერდნენ. ახლა, ათწლეულების შემდეგ, გაირკვა, რომ „დიდი დიეტოლოგი“ ბრეგი მარჯვე მისტიფიკატორი ყოფილა, რომელიც თავისი შთამაგონებელი სიცრუის წყალობით გახდა მილიონერი.

ერთ-ერთმა პატივსაცემმა ნიუიორკულმა გაზეთმა 1976 წლის 12 ივლისს თავის მკითხველებს ამცნო სამწუხარო ცნობა იმის შესახებ, რომ 96 წლის ასაკში მსოფლიოში ცნობილი დიეტოლოგი და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზატორი პოლ ბრეგი გარდაიცვალა. თითქოსდა არაფერია იმაში უცნაური, რომ ადამიანი ასეთ ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა, რომ არა ერთი „მაგრამ“. ნეკროლოგში საუბარი იყო იმაზე, რომ მამაკაცი უბრალოდ კი არ გარდაიცვალა, არამედ უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა, როცა სერფინგის დაფით სრიალებდა.

ექიმი ბრეგი 120 წლამდე აპირებდა სიცოცხლეს და ეჭვი ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ამაში და ტრაგედია რომ არა, მას ეს აუცილებლად გამოუვიდოდა. მაგრამ ამ ისტორიაში ერთი შეუსაბამობა არსებობს. იმავე დღეს სხვა არანაკლებ პატივსაცემმა გამოცემამ პუბლიკას ამცნო, რომ მისტერ ბრეგი ქუჩაში დაეცა და კლინიკაში მიყვანისას გულის უკმარისობით გარდაიცვალა.

არც აშშ-ში და არც მსოფლიოში არავის მიუქცევია ყურადღება ამ შეუსაბამობისთვის, მით უმეტეს, რომ გამარჯვებული დემოკრატიის ქვეყანაში პრესას შეუძლია ყველაფერი დაწეროს, რაც მოესურვება. მილიონების საყვარელი ადამიანის სიკვდილი, რომელმაც კვებისა და ჯანმრთელობისადმი ათასობით ადამიანის დამოკიდებულება შეცვალა, ყველასთვის შოკი იყო და ამერიკელები, უბრალოდ, განიცდიდნენ ამ დანაკარგის გამო.

ამერიკული ისტორია B

დოქტორ ბრეგის სახელი ყველა ამერიკელისთვის ცნობილი იყო მისი წიგნებით „გაიჯანსაღე საკუთარი თავი“ და „შიმშილობის სასწაული“. ეს წიგნები მსოფლიოს ათობით ქვეყანაში ბესტსელერი გახდა. დოქტორი არა მარტო წიგნებს წერდა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, არამედ მთელ ამერიკაში მოგზაურობდა ლექციებით და პაციენტებსაც უწევდა კონსულტაციებს.

ბრეგის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ტელევიზიაში დიდი დიეტოლოგის ქალიშვილი პატრიცია მიიწვიეს.

პატრიცია თვითონაც ცნობილი პიროვნება იყო — ამ გაუგებარი ასაკის ქალის სახე, რომელსაც სულელური ვარდისფერი შლაპა ეხურა თავზე, საავტორო ვაშლის ძმრის ეტიკეტზე იწონებდა თავს, რომელსაც დაბეჯითებით უწერდა ყველას დოქტორი ბრეგი.

დიეტოლოგის ქალიშვილმა დამსწრეთ ამცნო, რომ პოლ ბრეგი ვირგინიის შტატში დიდ ფერმაში გაიზარდა და მამამისი, რობერტ ელტონი განთქმული იყო არაჩვეულებრივი ბოსტნეულითა და ხილით. ფერმაში ვაშლის ძმარსაც აშზადებდნენ და სარდაფში ხის კასრებში ინახავდნენ.

ამ ძმარს უნიკალური სამკურნალო თვისებები ჰქონდა. თუ ოჯახის რომელიმე წევრი თავს ცუდად გრძნობდა, დედა ამ სითხის რამდენიმე წვეთს საკვებში უმატებდა და ავადმყოფი მაშინვე კარგად ხდებოდა. ძმრით მკურნალობდნენ ძროხებს, თხებს და ქათმებსაც კი...

შეხვედრა შესანიშნავად მიმდინარეობდა, მაგრამ ერთ-ერთმა მაყურებელმა სიტყვა ითხოვა. მას უნდოდა დაეზუსტებინა, რატომ იყო პატრიციას მონათხრობი ბრეგის ბავშვობის შესახებ განსხვავებული იმისგან, რასაც მამამისი აღწერდა თავის ერთ-ერთ წიგნში. კერძოდ, დიეტოლოგი ჩიოდა იმაზე, რომ ბავშვობაში დედამისი მხოლოდ მოხრაკულ და ძალიან ცხიმიან საკვებს აშზადებდა.

პატრიცია მოხერხებულად გამოძვრა უსიამოვნო სიტუაციიდან და თქვა, რომ პოლის მამა ჯანსაღი კვების მომხრე იყო, დედა კი XIX ს-ის კლასიკური ამერიკელი დიასახლისი, რომელიც საკვების სიჯანსაღეზე არ ფიქრობდა. დოქტორის ქალიშვილმა დაამატა, ასევე, რომ სწორედ არასწორი კვება გახდა იმის მიზეზი, რომ 16 წლის ასაკში პოლი ტუბერკულოზით დაავადდა და ლამის გარდაიცვალა.

თურმე ყმაწვილი გადარჩა, რადგან ის შვეიცარიაში დოქტორ ოგიუსტ როლიეს კლინიკაში გაგზავნეს, რომელიც დაავადებებს სწორი კვებით, მზის აბაზანებითა და ფიზიკური ვარჯიშებით კურნავდა. თუ პატრიციას დავუჯერებთ, სწორედ ამ გამოჯანსაღებამ უბიძგა პოლს, რომ ექიმი გამხდარიყო.

მთხრობელმა უკვე ახალი ისტორიის მოყოლა დააპირა, რომ იმავე მაყურებელმა კვლავ დასვა კითხვა:

თქვენ თქვით, რომ მამათქვენი სამი ძმიდან შუათანა იყო, მაგრამ ის თვითონ წერდა, რომ მას და ჰყავდა, რომელიც თავისი მეთოდით განკურნა.

პატრიციას კვლავ თავის დაძვრენამ მოუწია და თქვა, რომ ლუიზა კუზინა იყო, რომელიც მამამისთან ერთად იზრდებოდა.



ბრეგების ოჯახში არ მიირთმევდნენ შაქარს, ხორცს და შოკოლადს, დეზოდორანტის ნაცვლად კი მარილიან წყალს იყენებდნენ.

გამოაშკარავების კალეიდოსკოპი

ამ გულისამაჩუყებელი ამბით პატრიცია ბრეგი 1980 წლამდე მოგზაურობდა აშშ-ში, ვიდრე ერთ-ერთ ტელეშოუს მსვლელობისას „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტმა არ ჰკითხა, როგორ შეეძლო ოგიუსტ როლიეს თავის კლინიკაში გადაერჩინა მამამისი, თუ იმ დროს, როცა პოლი 16 წლის იყო, კლინიკა ჯერ კიდევ არ არსებობდა. პატრიციამ უპასუხა, რომ მამამისი თარიღებს ცუდად იმახსოვრებდა და საუბრის თემა შეცვალა.

ამ გამოაშკარავების შემდეგ პოლ ბრეგის ბიოგრაფიის ფაქტების გამოძიება ბევრისთვის ნამდვილი ჰობი გახდა. ერთ-ერთი ხმაურიანი ისტორია ბრეგის დაბადების რეალური თარიღი გახდა. ინდიანას შტატის ქალაქ ვეიტსვილის საჯარო ბიბლიოთეკაში მოულოდნელად აღმოჩნდა პოლ ბრეგის დაბადების მოწმობა, სადაც დაბადების თარიღად მითითებული იყო 1895 და არა 1881 წელი.

სწორედ ამით აიხსნებოდა, რომ პოლ ბრეგი ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ის ხომ სინამდვილეში 14 წლით ახალგაზრდა იყო. ეს ბრეგების იმპერიის სრული კრახი იყო და პატრიცია უკვე ველარ შოულობდა ფულს სიცრუით.

გაირკვა, რომ არავითარი ფერმა ვირგინიაში არ ყოფილა.

ბრეგს ტუბერკულოზი არ ჰქონია და მით უმეტეს, ოჯახის შემოსავლების შემხედვარე, შვეიცარიაში ვერ იმკურნალებდა.

იბადება კითხვა, როდისღა სწავლობდა ბრეგი მედიცინას, თუ მისი თქმით, ეს დარგი 18 წლიდან აინტერესებდა? პასუხი ამაზე უბრალოა — ბრეგს არასოდეს უსწავლია მედიცინა, მედიცინის დოქტორის წოდება უბრალოდ, თვითონ მიანიჭა საკუთარ თავს. შიმშილობის სარგებლიანობის შესახებ იდეა მეგობარმა იაპონელმა შესთავაზა, რომელთან ერთადაც ძიუდოში ვარჯიშობდა.

პოლი ყველა ლექციას უბრალო, მაგრამ ეფექტური ტრიუკით ასრულებდა — ეუბნებოდა დამსწრეებს, გამოეცნოთ, რამდენი წლის იყო. დარბაზი პასუხობდა, რომ ის 30–35 წლის იყო. ის კი თეატრალური პაუზის შემდეგ ამბობდა, რომ ცოტა ხნის წინ 49 წელი შეუსრულდა. დარბაზი ყოველ ჯერზე სავსე იყო — ყველას სურდა, იმაზე ახალგაზრდა ყოფილიყო, ვიდრე სინამდვილეში.

უნდა ითქვას, რომ ყველა მასობრივი ღონისძიება აბსოლუტურად უფასო იყო, მაგრამ მათი დასრულების შემდეგ დოქტორის მდივანთან გრძელი რიგები დგებოდა, რათა ფასიან კერძო კონსულტაციაზე ჩაწერილიყვნენ. პოლი თითო პაციენტისგან 25 დოლარს იღებდა. ყველაზე მადლიერი ჰოლივუდის ვარსკვლავები იყვნენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ სხეულის და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად.

1929 წელს გამოვიდა დიეტოლოგის პირველი წიგნები — „სიმართლე სექსის შესახებ“ და „გაიჯანსაღე საკუთარი თავი“. წიგნებს ბრეგი თავად წერდა. ისინი უზარმაზარი ტირაჟებით იყიდებოდა, რადგან ავტორს დარწმუნების არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა და მის ტყუილსაც კი ძალიან ადვილად იჯერებდნენ მისი მსმენელები.

1975 წელს ჟურნალ „ფიფლ“-ის კორესპონდენტის კითხვაზე, როდის სრულდება ადამიანის სექსუალური აქტივობა, პოლ ბრეგმა უპასუხა: „მე საიდან უნდა ვიცოდე, მე ხომ მხოლოდ 95 წლის ვარ!“

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯგ“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

http://www.saertogazeti.ge